პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. ქ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის ქ-ის და ც აქის ორგანო

№ 52 (5153) | შაბათი, 5 მარტი 1938 წ. | ფასი 10 კაპ.

დ ღ ე ს გ ა ზ ე თ შ ი:

გავანადგუროთ სამშობლოს მოღალატენი (მოწინავე).

საქართველოს მშრომელნი მოითხოვენ საზიზღარ ჯაშუშთა, მკვლელთა, ტროცკისტ-ბუხარინელთა ბანდის განადგურებას (გამოხმაურებანი).

მუშათა და გლეხთა მოსისხლე მტრები ხალხის სამსჯავროს წინაშე („პრავდის" მოწინავე". მე-2 გვ.).

ანტისაბჭოთა „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" პროცესი (მე-2 და მე-3 გვ.).

თავდაცვის მრეწველობის მუშაკთა დაჯილდოება.

უცხოეთში:

საზღვარგარეთის პრესის გამოძახილი ანტისაბჭოთა „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" პროცესზე (მე-4 გვ.).

პროვოკაციული თავხედობა სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის წინააღმდეგ პოლონეთში (მე-4 გვ.).

სსრ კავშირის საქმეთა რწმუნებულის პროტესტი ვარშავაში (მე-4 გვ.).

გავანადგუროთ სამშობლოს მოღალატენი

ორ მარტს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიაში დაიწყო ანტისაბჭოთა „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" პროცესი; პროლეტარული მართლმსაჯულების წინაშე წარსდგა ბინძური ხროვა. მშრომელი ხალხის სიძულვილით გაბოროტებული მხეცებისა, რომელთა საზიზღარი ხელები შეღებილია კომუნიზმისათვის თავდადებულ მებრძოლთა წმინდა სისხლით.

უდიდესი აღშფოთების, ხალხის ამ ვერაგი მტრებისადმი ზიზღის გრძნობამ მოიცვა მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელები, რომლებმაც შეიტყვეს პირსისხლიანი ფაშიზმის დაქირავებული აგენტების,—ტროცკისტ-ბუხარინელ ყაჩაღების საზიზღარი, ბნელი დივერსიულ-მავნებლური და ჯაშუშურ-ტერორისტული საქმიანობის შემაძრწუნებელი ამბავი.

კომუნიზმის მშენებელ ხალხისადმი ბოროტმა სიძულვილმა ყაჩაღთა ერთ მთლიან ბრბოდ შეაკავშირა ადამიანურ სახეს მოკლებული ნაძირალები — ტროცკისტები და ბუხარინელები, ესერები და მენშევიკები, ბურჟუაზიული ნაციონალისტები და მეფის ოხრანკის აგენტი-პროვოკატორები; „მემარჯვენე - ტროცკისტული ბლოკი" — ეს იყო მკვლელთა, სამშობლოს გამყიდველთა, ჯაშუშთა, დივერსანტთა და ყველაზე საზიზღარ და საძულველ ადამიანთა შეთქმულება, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა ხალხის ბედნიერებისათვის ძირის გამოთხრას, სოციალისტური წყობილების დამხობას და კაპიტალიზმის აღდგენას სსრ კავშირში.

ტროცკისტ-ბუხარინელ არამზადებს, რომლებმაც ვერ ჰპოვეს და არც შეეძლოთ ეპოვნათ რაიმე დასაყრდენი ჩვენი ქვეყნის მშრომელებში, არ შეეძლოთ არ ეგრძნოთ თავიანთი არარაობა და უძლურება მათ მიერ დასახული დანაშაულებრივი მიზნების განხორციელებაში; ამიტომ, იყო, რომ ეს ლაჩრები მთელ თავის იმედებს სსრ კავშირში არსებული სოციალისტური წყობილების წინააღმდეგ ბრძოლაში ამყარებდნენ მხოლოდამხოლოდ სამხედრო დახმარებაზე ჩვენი ქვეყნისადმი მტრულად განწყობილ უცხო სახელმწიფოების მხრით, რომლებიც ტროცკისტ-ბუხარინელ გარეწრებს შეჰპირდნენ დახმარებას იმ პირობით, თუ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების დიადი კავშირისაგან ჩამოშორებული იქნებოდნენ უკრაინა, ბელორუსია, შუა-აზიის რესპუბლიკები, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი და პრიმორიე.

ვერ წარმოიდგენს ადამიანის გონება იმაზე უფრო საშინელ ბოროტმოქმედებას, იმაზე უფრო გულშემზარავ დანაშაულს, რომელსაც სჩადიოდა ჯაშუშთა, მკვლელთა, მავნებელთა და დივერსანტთა ტროცკისტულ-ბუხარინული ბანდა ფაშისტურ სახელმწიფოთა მზვერავი ორგანოების პირდაპირი მითითებებით.

როგორც გამოძიებამ სავსებით დაადასტურა, „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" მონაწილეთა მოღალატური საქმიანობა სრულიადაც არ იყო მათთვის შემთხვევითი. ამ საქმიანობას ხანგრძლივი და გრძელი ისტორია აქვს. შეთქმულების ერთერთი სულისჩამდგმელი, ხალხის მტერი ლ. ტროცკი უკვე 1921 წლიდან იყო აგენტი გერმანიის დაზვერვისა, ხოლო 1926 წლიდან ინგლისის დაზვერვის — „ინტელიჯენს-სერვისის" აგენტიც.

გამცემელმა ბუხარინმა და მისმა ბანდამ ჯერ კიდევ 1918 წელს, ჩვენი ქვეყნისათვის ამ კრიტიკულ მომენტში, ესერებთან ერთად, ტროცკის მონაწილეობით მოაწყო შეთქმულება, რომლის მიზანი იყო **ლენინის, სტალინისა და სვერდლოვის** მოკვლა და ბუხარინელი ნაძირალებისაგან მთავრობის შექმნა.

„გამოძიებას ამჟამად მოეპოვება უდავო მონაცემები იმის შესახებ, რომ ესერ ტროცკისტ-ქალის **ფ. კაპლანის** მიერ 1918 წ. 30 აგვისტოს ვ. ი. **ლენინის** სიცოცხლის ხელყოფა პირდაპირი შედეგი იყო იმ დანაშაულობრივი განზრახვების განხორციელებისა, რომლებიც ჰქონდათ „მემარცხენე" კომუნისტებს ნ. ი. **ბუხარინის** მეთაურობით და მათ თანამზრახველებს — „მემარცხენე" და მემარჯვენე ესერებს, და ბრალდებულ ბუხარინის ინიციატივით მოხდა".

დამარცხდნენ რა აშკარა ბრძოლაში ლენინ-სტალინის პარტიასთან, მძლავრ საბჭოთა ხალხთან, ფაშიზმის მიერ დაქირავებული ქოფაკები დაადგნენ სხვა გზას, ფლიდობისა და ორპირობის გზას; მათ სახეზე აიფარეს პატიოსანი ადამიანის ნიღაბი, ამავე დროს მყრალ ტროცკისტულ იატაკქვეშეთში აკეთებდნენ ისეთ ბნელ საქმეებს, რომელთა მარტოოდენ დასახელებაც კი შეაძრწუნებს ყოველ პატიოსან ადამიანს.

„მემარჯვენე - ტროცკისტული ბლოკის" მონაწილეთა ძირგამომთხრელი მუშაობა მიზნად ისახავდა საბჭოთა კავშირის მშრომელთა შორის უკმაყოფილების გამოწვევას, რაც გაუადვილებდა მათ თავიანთი ბნელი მიზნების განხორციელებას.

ბუხარინი და რიკოვი, რომლებიც შეთქმულების სათავეში იდგნენ, უშუალოდ იყვნენ დაკავშირებულნი იუდა-ტროცკისთან და მისი თანხმობით აწარმოებდნენ მავნებლურ-დივერსიულ საქმიანობას სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში. მათი უშუალო დავალებით ჯაშუში ჩერნოვი მავნებლობას ეწეოდა კოლმეურნეობებში და საბჭოთა მეურნეობებში, ხოლო ჯაშუში გრინკო ფინანსების დარგში.

ტროცკიმ, ბუხარინმა, რიკოვმა და მათი საზიზღარი ბანდის სხვა მონაწილეებმა ვერაგულად ხელიდან გამოგვტაცეს ჩვენი ქვეყნის სახელოვანი შვილები, კომუნიზმის შეუდრეკელი მშენებლები ს. მ. კიროვი, ვ. ვ. კუიბიშევი, ვ. რ. მენჟინსკი და ჩვენი გენიალური მწერალი ა. მ. გორკი.

სისხლით გაუმაძღარნი, შარაგზის ყაჩაღები ამითაც არ კმაყოფილდებოდნენ და ამზადებდნენ ტერორისტულ აქტებს ხალხთა ბელადის დიდი სტალინისა და მისი უახლოესი თანამებრძოლების, — მოლოტოვის, კაგანოვიჩის, ვოროშილოვის და ეჟოვის წინააღმდეგ. მაგრამ სახელოვანმა შინსახკომელებმა ჩაშალეს მათი შავბნელი გეგმები! ქვემძრომები გამოთრეულნი არიან თავიანთი სოროებიდან. ისინი წარსდგნენ ხალხის სამსჯავროს წინაშე.

ტროცკისტ-ბუხარინელი ყაჩაღები, დივერსანტები, ჯაშუშები, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ბანდიტები თავიანთ დამანგრეველ მუშაობას ეწეოდნენ საბჭოთა საქართველოშიც. ისინი ცდილობდნენ ჩამოეშორებინათ საქართველო საბჭოთა კავშირისაგან, ხოლო აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკები საქართველოსაგან, მაშასადამე, მთელი საბჭოთა ხალხის ძმური ოჯახისაგან. ამ საზიზღარ საქმიანობაში მათ ხელს უწყობდნენ ქართველი ბურჟუაზიული ნაციონალისტები, კონტრრევოლუციონერ-ჯაშუშები და ბანდიტები, რომელთა სახელები საუკუნოდ შეაჩვენა ქართველმა ხალხმა.

საბჭოთა საქართველოს მშრომელები, დიადი საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთან ერთად აღშფოთებული არიან „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" შემაძრწუნებელი და გულშემზარავი საქმიანობით. ფაბრიკა-ქარხნებსა, დაწესებულებებსა, კოლმეურნეობებსა და სასწავლებლებში მშრომელთა მრავალრიცხოვან კრებებზე მუშა-მოსამსახურენი, კოლმეურნენი და მოსწავლენი ერთსულოვნად მოითხოვენ „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" უკლებლივ ყველა მონაწილის ფიზიკურად განადგურებას.

სიკვდილი პირსისხლიანი ფაშიზმის დაქირავებულ ქოფაკებს! — ასეთია ხალხის ერთსულოვანი მოთხოვნა.

არავითარი შებრალება სამშობლოს მოღალატეებს, ჯაშუშებს, მკვლელებსა და დივერსანტებს.

თავდაცვის მრეწველობის მუშაკთა დაჯილდოება

თავდაცვის მრეწველობის მუშაობაში დიდი მიღწევებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სსრ კავშირის ორდენებით დააჯილდოვა თავდაცვის მრეწველობის 38 ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი.

წითელი ვარსკვლავის ორდენით დაჯილდოებული არიან:

1. ნ. ი. პელევინი — ინჟინერი.
2. ვ. ნ. პერშინი — ქარხნის მთავარი ინჟინერი.

საპატიო ნიშნის ორდენით დაჯილდოებული არიან:

1. ბ. პ. **ბაბაიცევი** — ქარხნის უფროსი კონსტრუქტორი.
2. ე. ე. **ბასკანოვი** — ქარხნის მუშა
3. გ. ფ. **ბანდაკოვი** — ქარხნის ზეინკალი.
4. მ. მ. **ბახტინოვი** — ქარხნის მექანიკოსი.
5. ს. ე. **ევსტიგნეევი** — ქარხნის კონტროლიორი.
6. ი. ს. **ზაიცევი** — საამქროს ოსტატი.
7. ნ. კ. **ინოზემცევი** — ქარხნის ზეინკალი.
8. მ. კ. **კირილინი** — ქარხნის თოქმაჩი.
9. ე. ს. **კლენინი**—ქარხნის ზეინკალი.
10. ი. გ. **კუზნეცოვი** — ქარხნის მექანიკოსი და სხვები.

„ერმაკის" გემბანზე

„ერმაკი". 3 მარტი (რადიოსაქდესის სპეცკორისაგან). დღეს, 19 საათზე, „ერმაკი" მოიხსნა ღუზიდან. ნორვეგიის პატარა ქალაქი ჰოპერვიკი, რომელთანაც ჩვენ ვიდექით, უკან დარჩა. სკაგერაკის სრუტემდე ვივლით ცუდ ქარიშხლიან ამინდში. „მურმანეცი" უკან მოგვყვება.

ტროიანოვსკი.

საქართველოს მშრომელნი მოითხოვენ საზიზღარ ჯაშუშთა, მკვლელთა, ტროცკისტ-ბუხარინელთა ბანდის განადგურებას

დავხვრიტოთ საძაგელი გამცემლები

თბილისელ ტრამვაელთა რეზოლუციიდან.

თბილისის ტრამვაისა და ტროლეიბუსების მუშები, მოსამსახურენი და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები, შეიკრიბნენ რა მიტინგზე და გაეცნენ რა ანტისაბჭოთა „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" საზიზღარ ბოროტმოქმედებებს, თავის უსაზღვრო ზიზღსა და სიძულვილს უცხადებენ ხალხის საძაგელ მტრებს —ბუხარინს, რიკოვს, იაგოდას, კრესტინსკის, რაკოვსკის, როზენგოლცს და სხვა შეთქმულებს.

ბანდიტებს წაუსწრეს დანაშაულზე.

ჩვენი ქვეყნისა და მთელი მსოფლიოს მშრომელებმა კიდევ ერთხელ დაინახეს ტროცკისტულ-ბუხარინული ჯაშუშების, დივერსანტების და ტერორისტების ნამდვილი საზიზღარი სახე.

თბილისის ტრამვაისა და ტროლეიბუსების მუშები, მოსამსახურენი და ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები ზიზღს უცხადებენ ჩვენი სამშობლოს საზიზღარ გამცემლებს.

ჩვენ სიტყვას ვიძლევით კიდევ უფრო მჭიდროთ დავირაზმოთ ლენინ-სტალინის დიადი პარტიის ირგვლივ, ხალხთა საყვარელი ბელადის ამხანაგი სტალინის ირგვლივ. კიდევ უფრო სწრაფად გავსწევთ წინ, სოციალიზმის ახალ-ახალი გამარჯვებისაკენ.

3 მარტი, ქ. თბილისი. (საქდესი).

დაუნდობლად გავსრისოთ შხამიანი გველები

მაუდის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეები ღრმად აღშფოთებულნი არიან ფაშიზმის საზიზღარ ქოფაკთა ხროვის, ჯაშუშების, დივერსანტების, მკვლელების, ადამიანის სახედაკარგული მხეცების საზარელი ბოროტმოქმედებებით.

სახელდახელო მიტინგზე, რომელსაც ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა მთელი კოლექტივი დაესწრო, უდიდესი მრისხანება მოისმოდა პარტიული და უპარტიო მუშების სიტყვებში. ისინი ზიზღით იხსენიებდნენ „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" მონაწილეთა საზიზღარ სახელებს და მოითხოვდნენ ამ ქვეწარმავალთა დაუნდობლად გასრესას.

მიტინგზე სიტყვით გამოსული მუშები მიქაბერიძე, დახუნდარიძე, შანშიაშვილი, კრაუზე და სხვ. ზიზღსა და რისხვას უთვლიდნენ საზიზღარ ჯაშუშებს, ხალხის სამგზის წყეულ მტრებს.

— უსაძაგლესი მხეცები ამზადებდნენ ჩვენი მშვენიერი სამშობლოს დამონებას კაპიტალისტ მტაცებლებისათვის, — ამბობს ამხ. შანშიაშვილი, — მაგრამ ფაშიზმის ქოფაკებს იმედი გაუცრუვდათ, სახელოვანმა შინსახკომმა მათ დანაშაულზე წაასწრო. ბოროტმოქმედნი ახლა წარსდგნენ საბჭოთა ხალხის სამსჯავროს წინაშე. ხალხის მტრები განადგურებულ უნდა იქნენ.

— ძნელია სიტყვების პოვნა, რომ გამოვთქვათ ზიზღი და აღშფოთება ამ ქვემძრომთა მიმართ, -- ამბობს ამხ. მიქაბერიძე. — ყველაზე უსაზიზღრესი ბოროტმოქმედებანი, რომელთაც კი იცნობს კაცობრიობის ისტორია, მკრთალად მოსჩანს იმ გულშემზარავ ბოროტმოქმედებებთან, რასაც სჩადიოდნენ და რის ჩადენასაც აპირებდნენ „მემარჯვენეტროცკისტული ბლოკის" მონაწილეები. ზიზღი ამ შხამიან გველებს, ფიზიკურად მოვსპოთ ისინი, — ასე დაამთავრა თავისი სიტყვა ამხ. მიქაბერიძემ.

მიტინგზე ერთსულოვნად მიღებულ რეზოლუციაში ფაბრიკის მუშები უდიდეს გულისწყრომას და რისხვას უთვლიან სოციალისტური სამშობლოს გამყიდველებს, ჯაშუშებს, პირსისხლიანი ფაშიზმის ქოფაკებს და ერთსულოვნად მოითხოვენ მათ ფიზიკურად განადგურებას — დახვრეტას.

გავსრისოთ, გავაცამტვეროთ ქვეწარმავალნი, შხამიანი გველები, ჩვენი ქვეყნის საუკეთესო ადამიანთა და მშრომელთა სისხლით მოვაჭრენი, არავითარი დანდობა მათ, — ასეთია მაუდის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა ერთსულოვანი მოთხოვნა.

სიკვდილი ხალხის საზიზღარ მტრებს

თბილისის კვანძის რკინიგზელთა მიტინგებზე.

3 მარტს, დღის 4 საათზე, გაისმა თუარა საყვირის ხმა, თბილისის რკინიგზის კვანძზე შესდგა მრავალრიცხოვანი მიტინგები, რომლებიც მიეძღვნა საბრალდებო დასკვნის განხილვას ანტისაბჭოთა „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" საქმის გამო.

სტალინის სახელობის ორთქლმავალ - ვაგონსარემონტო ქარხნის 3500-ზე მეტი მუშა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი და მოსამსახურე შეიკრიბნენ საამქროთა მიტინგებზე, რათა გამოეთქვათ თავიანთი აღშფოთება და ზიზღი „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" საძაგელ შეთქმულთადმი, ფაშისტურ დაზვერვათა დაქირავებულთადმი.

უსაზღვრო გულისწყრომით გაისმოდა ქარხნის კომუნისტებისა და უპარტიო მუშების სიტყვები, როდესაც ისინი ლაპარაკობდნენ საზიზღარი მახინჯების ბუხარინის, რიკოვის, იაგოდას, კრესტინსკისა და შეთქმულთა ჯგუფის სხვა მონაწილეთა შესაზარ ბოროტმოქმედებათა შესახებ.

მიტინგებზე გამოვიდა 100-ზე მეტი მუშა, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი და მოსამსახურე.

ყველანი მოითხოვდნენ შეუბრალებელ გასწორებას ხალხის უბოროტეს მტრებთან, მოითხოვდნენ „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" უკლებლივ ყველა მონაწილის დახვრეტას.

„ეს საზიზღარი მახინჯები,—ნათქვამია რეზოლუციაში,—უცხოელთა დაზვერვების დავალებით ცდილობდნენ შეერყიათ სსრ კავშირის სამხედრო ძლიერება, ამზადებდნენ უცხოელ სახელმწიფოთა პროვოკაციულ თავდასხმას სსრ კავშირზე, სსრ კავშირის დამარცხებას, დაქუცმაცებას და მისგან უკრაინის, ბელორუსიის, შუააზიის რესპუბლიკების, საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანისა და პრიმორიეს მოწყვეტას. მშრომელი ხალხის ეს უბოროტესი მტრები ცდილობდნენ მოემზადებინათ სსრ კავშირში საბჭოთა ხელისუფლების დამხობა და ბურჟუაზიის ხელისუფლების აღდგენა. ეს საძაგელი მახინჯები ამზადებდნენ ჩვენი დიდი ბელადების ლენინის, სტალინისა და პარტიისა და მთავრობის სხვა ხელმძღვანელთა დაპატიმრებას და მკვლელობას. საზიზღარმა მკვლელებმა განახორციელეს ვ. ვ. კუიბიშევის, ვ. რ. მენჟინსკის, ა. მ. გორკის ავაზაკური მკვლელობა. ამავე ბანდის გადაწყვეტილებით განხორციელდა პროლეტარული რევოლუციის მგზნებარე ტრიბუნის სერგეი მირონის-ძე კიროვის ავაზაკური მკვლელობა.

არავითარი შებრალება საზიზღარ მახინჯებს, მშრომელთა დაუძინებელი მტრის ტროცკისა და ფაშისტური დაზვერვების აგენტებს!

ჩვენ მოვითხოვთ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოსაგან დახვრეტილი იქნას მთელი ეს საზიზღარი სიბილწე, როგორც ცოფიანი ძაღლები".

◆

თბილისის საორთქლმავლო დეპოს აუდიტორია სავსეა. 800 მუშამ, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკმა და მოსამსახურემ მიიღო მონაწილეობა საბრალდებო დასკვნის განხილვაში ანტისაბჭოთა „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" საქმის გამო. მიტინგებზე მხურვალე სიტყვებით გამოვიდნენ ამხანაგები მაკარაშვილი, ბერიაშვილი, ლომაძე და სხვ., რომლებიც სამარცხვინო ბოძზე აკრავდნენ გამცემელთ, დივერსანტებს, იაპონია-გერმანული ფაშიზმის აგენტებს ბუხარინს, რიკოვს, იაგოდასა და შეთქმულთა ხროვის სხვა მონაწილეთ და მოუწოდებდნენ მუშებს, რათა მუდამ ახსოვდეთ მათ კაპიტალისტური გარემოცვის შესახებ, იყვნენ კიდევ უფრო ფხიზელნი, შეუბრალებლად გამოააშკარაონ ტროცკისტ-ბუხარინელთა ნაბოლარები.

მიტინგზე მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია:

„თავისი დანაშაულებრივი მიზნების განხორციელებისათვის „მემარჯვენე - ტროცკისტული ბლოკის" კონტრრევოლუციური ორგანიზაცია აწარმოებდა აქტიურ დივერსიულ მავნებლურ მუშაობას. მტერთა ბანდა ამჟამად გამოაშკარავებულია რევოლუციის სახელოვანი, ფხიზელი დარაჯის შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის მიერ. ჩვენ მოვითხოვთ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოსაგან ბანდის ყველა მონაწილეთა დახვრეტას. დაე, იცოდნენ ჩვენმა მტრებმა, რომ არ მოიპოება ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლოს შეაჩეროს თუნდაც ერთი წუთით ჩვენი ძლევამოსილი წინსვლა".

◆

თბილისის სამგზავრო სავაგონო დეპოს მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურენი ულრმესი აღშფოთებით შეხვდნენ ცნობას „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" შეთქმულთა შესაზარი ბოროტმოქმედებათა შესახებ.

დეპოს სტახანოველი მუშები, ინჟინრები და ტექნიკოსები ამხანაგები ნასყიდაშვილი, ძებისაშვილი და მრავალი სხვ. გამოვიდნენ სიტყვებით, რომლებიც გაჟღენთილია ზიზღით „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" მონაწილეთადმი, მათ ილაპარაკეს ბოლშევიკური სიფხიზლის კიდევ უფრო გაძლიერების აუცილებლობაზე, ისინი მოითხოვდნენ შეუბრალებელ სასჯელს საძაგელი მახინჯების, ფაშისტურ დაზვერვათა აგენტების მიმართ.

„ხალხის საზიზღარმა მტრებმა,—ნათქვამია რეზოლუციაში, — ვერ მოახერხეს შეეჩერებინათ ჩვენი ძლევამოსილი წინსვლა. მტრები მოსტყუვდნენ. ისინი წარსდგნენ საბჭოთა სასამართლოს წინაშე და პასუხს აგებენ ხალხის წინაშე თავიანთი საზიზღარი ბოროტმოქმედებისათვის. ჩვენ მოვითხოვთ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოსაგან ერთადერთ სამართლიან სასჯელს ბანდიტების მიმართ—დახვრეტას.

ხალხის მტრების ხრიკების პასუხად, ჩვენ, თბილისის სამგზავრო დეპოს მუშები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და მოსამსახურენი ვკისრულობთ ვალდებულებას ვიმუშაოთ კიდევ უკეთესად, კიდევ უფრო ავამაღლოთ სოციალისტური შეჯიბრება, ვაგონების რემონტის ხარისხი, შევამციროთ მათი გაცდენა, ჩვენ ვკისრულობთ შევხვდეთ საქართველოს სს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს ახალი მაღალი მიღწევებით".

(საქდესი).

აჭარის მშრომელები მოითხოვენ სამშობლოს გამყიდველების ფიზიკურ განადგურებას

ბათუმი, 3 მარტი (საქდესი). ბათუმის წარმოება-დაწესებულებების მუშა-მოსამსახურენი, ინჟინერ-ტექნიკური პერსონალი გაეცნენ თუ არა საბრალდებო დასკვნას „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის", ფაშიზმის ამ დაქირავებულ საზიზღარი ხროვის საქმეს, გამოსთქვეს უდიდესი აღშფოთება და წყრომა საზარელი ბოროტმოქმედებათა მიმართ.

ბათუმის ნავთსახდელი ქარხნების მუშა-მოსამსახურეთა მრავალრიცხოვან სახელდახელო მიტინგზე სიტყვებში გამოსული სტახანოველი მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები ამხ. შირინი, მანჯგალაძე, ოჰანეზოვი, კაზარიანი და სხვ. გამოსთქვამდნენ ულრმეს მრისხანებას და სიძულვილს ბანდიტების, მკვლელების, სამშობლოს გამყიდველების და დივერსანტ-ფაშისტების „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" საზიზღარი ხროვის მიმართ.

საძაგელი გამცემლები, ეწეოდნენ რა თავის საზიზღარ საქმიანობას, ცდილობდნენ და ამზადებდნენ ჩვენს ბედნიერ სამშობლოში კაპიტალიზმის აღდგენას, მაგრამ ფაშიზმის შეთქმულებს ნიღაბი ჩამოხადეს სახელოვანმა შინსახკომელებმა, ერთგული სტალინელის, შეუდრეკელი ბოლშევიკის ამხ. ეჟოვის ხელმძღვანელობით გამოამჟღავნეს საზიზღარი გამყიდველების ბნელი გეგმები და საბოლოოდ ჩაშალეს.

ჩვენ, ბათუმის ნავთსახდელი ქარხნების მუშები, მოვითხოვთ ბრალდებულთა მიმართ სასჯელის უმაღლესი ზომის გამოყენებას—დახვრეტას.

ბათუმის რკინიგზის კვანძის მუშა-მოსამსახურეთა სახელდახელო მიტინგზე სტახანოველი მუშები დარჩია, გვალია, წულაია, ჩხაიძე, ხუხუნაშვილი და სხვები წყევლითა და კრულვით იხსენიებდნენ სამშობლოს მოღალატეების, ჯაშუშების, ფაშიზმის მოსყიდულ „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" მონაწილეთა სახელებს და მოითხოვდნენ ამ საზიზღარი ბანდის აღგვას დედამიწის პირიდან.

ასეთივე მიტინგი ჩატარდა ბათუმის ნავსადგურსა და სამკერვალო ფაბრიკაში. მრავალრიცხოვან მიტინგებზე მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: „ჩვენ მოვითხოვთ პირსისხლიანი ფაშიზმის მიერ დაქირავებული მკვლელების, ჯაშუშების— „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" საზიზღარ ბანდის შეუბრალებელ დასჯას—დახვრეტას. სიკვდილი ხალხის მტრებს. გავანთავისუფლოთ საბჭოთა მიწა ტროცკისტულ-ჯაშუშურ მძორისაგან".

მოვითხოვთ პირსისხლიანი ბანდიტების დახვრეტას

ფოთი, 3 მარტი (საქდესი). ფოთის ყველა საწარმოსა და დაწესებულებაში შესდგა მრავალრიცხოვანი მიტინგები, რომლებზედაც მშრომელები უსაზღვრო აღშფოთებას და სიძულვილს გამოსთქვამდნენ ხალხის საზიზღარი მტრების, „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" შეთქმულთა წინააღმდეგ.

ფოთის ნავსადგურის გემსარემონტო ქარხნის მიტინგზე სიტყვით გამოვიდა სტახანოველი მექვაბე ამხ. ტიხონოვი. მან განაცხადა:

— ხალხის უბოროტეს მტრებს ტროცკისა და ბუხარინს სურდათ ჩაეხრჩოთ ნორჩი საბჭოთა რესპუბლიკა გერმანიის იმპერიალიზმის ხელით ჯერ კიდევ ოქტომბრის რევოლუციის პირველ წლებში. მაგრამ ლენინ-სტალინის პარტიამ და მთელმა საბჭოთა ხალხმა დაარღვიეს ამ გამცემთა გეგმები. ველარ ისუნთქავენ საბჭოთა მიწის ჰაერს ტროცკისტ-ბუხარინელთა ნაშიერები! მოვსპოთ, აღვგავოთ პირისაგან მიწისა „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" უკლებლივ ყველა შეთქმული! —აი ჩვენი მოთხოვნა.

მიტინგზე სიტყვით გამოვიდა ნავსადგურის მარგანეცის უბნის მუშა მტვირთავთა ბრიგადირი სტახანოველი ამხ. ბაკი არშაია, რომელმაც განაცხადა:

— კაპიტალიზმის ერთგული ქოფაკები—ტროცკი, ბუხარინი, რიკოვი და მთელი მათი ბანდა—ესენი ჩვენი ქვეყნის მშრომელთა ყველაზე უბოროტესი მტრები არიან. ჩვენ მოვითხოვთ სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოსაგან ამ პირსისხლიან ბანდიტების დახვრეტას. მათ ჯაშუშურ გეგმებს ჩვენ ვუპასუხებთ სიფხიზლის გაძლიერებით, კიდევ უკეთესი სტახანოვური მუშაობით.

თბილისის მაუდის ფაბრიკის მუშათა მიტინგი, მოწვეული ანტისაბჭოთა „მემარჯვენე - ტროცკისტული ბლოკის" პროცესის გამო.
სურათზე: ფაბკომის მდივანი მიტინგზე კითხულობს რეზოლუციას, რომელშიაც მუშები მოითხოვენ ჯაშუშ-დივერსანტთა დახვრეტას.
ფოტო სტოლიაროვისა და რიშკოვისა („სოიუზფოტოს" საქ. განყ.).

„არავითარი შებრალება მოღალატეებს"

თბილისის ახალი ფეხსაცმელის ფაბრიკის კოლექტივის მიტინგზე მიღებულ რეზოლუციიდან.

ახალი ფეხსაცმელების ფაბრიკის მუშათა, მოსამსახურეთა და ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა ოთხათასიანი კოლექტივი უაღრესი აღშფოთებითა და გულისწყრომით უცხადებენ ზიზღს სამშობლოს საზიზღარ მოღალატეებს, „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" მონაწილეთ, რომლებიც ცდილობდნენ დაექუცმაცებინათ დიადი საბჭოთა კავშირი, მოეგლიჯათ მისგან ძმური საბჭოთა რესპუბლიკები — უკრაინა, შუააზიის რესპუბლიკები, საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი და პრიმორიე.

ხალხის მტრებმა, არამზადების ხროვამ—იუდა ტროცკიმ, ბუხარინმა, რიკოვმა და სხვებმა ავაზაკურად მოჰკლეს სერგეი მირონის-ძე კიროვი და მტარვალი ექიმების ლევინის, კაზაკოვის, ვინოგრადოვისა და პლეტნევის დახმარებით ავაზაკურად მოჰკლეს ვ. ვ. კუიბიშევი, ვ. რ. მენჟინსკი და ა. მ. გორკი.

შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის სახელოვანი ორგანოების სიფხიზლის შედეგად, რომელსაც სტალინური სახალხო კომისარი ამხ. ეჟოვი მეთაურობს, სავსებით იქნა გამოაშკარავებული საძაგელი შეთქმულების ყველა ბოროტმოქმედებანი.

ახალი ფეხსაცმლის ფაბრიკის კოლექტივი მოითხოვს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოსაგან ამ არამზადების, მკვლელების, ჯაშუშების, სამშობლოს მოღალატეების დახვრეტას, რომლებმაც გაჰბედეს აღემართნათ თავისი ბინძური ხელი დიად საბჭოთა სამშობლოს წინააღმდეგ, მსოფლიო პროლეტარიატის დიდი ბელადების, მთელი ხალხის საყვარელი ლენინისა და სტალინის წინააღმდეგ.

არავითარი შებრალება მოღალატეებს, ხალხის უბოროტეს მტრებს!

ჩვენ მოვითხოვთ, რათა აღგვილი იქნან პირისაგან მიწისა საზიზღარი ჯაშუშები და მკვლელები—ბუხარინი, რიკოვი, იაგოდა, კრესტინსკი და შეთქმულთა ჯგუფის სხვა მონაწილენი!

ჩვენ ვივალდებულებთ კიდევ უფრო მაღლა ავსწიოთ რევოლუციური შეტევითი სიფხიზლე და კიდევ უფრო მჭიდროდ დავირაზმოთ ჩვენი რიგები ლენინ-სტალინის პარტიისა და მისი ცენტრალური კომიტეტის გარშემო.

(საქდესი).

4 მარტი, ქ. თბილისი.

თბილისის უნივერსიტეტში

უნივერსიტეტის კლუბის ვეებერთელა დარბაზი სავსეა. თბილისის უნივერსიტეტის პროფესურა, მასწავლებლები, სტუდენტები, მოსამსახურენი შეიკრიბნენ მიტინგზე, რათა თავისი სიძულვილი და ზიზღი გამოხატონ „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" საზიზღარ შეთქმულთადმი.

მიტინგზე უნივერსიტეტის მეცნიერული საზოგადოებრიობის სახელით სიტყვით გამოვიდა პროფ. მ. გოგიბერიძე. მან განაცხადა, რომ უნივერსიტეტის პროფესორთა და მასწავლებელთა მთელი პერსონალი, მისი მთელი კოლექტივი წყევლა-კრულვას უგზავნის საზიზღარ მკვლელებს, ფაშისტური დაზვერვის აგენტებს ბუხარინს, რიკოვს, იაგოდას, ბინძური ბანდის ყველა მონაწილეს. ყველა მათგანი, მათ შორის მეცნიერების „წარმომადგენლებიც", მტარვალი-ექიმები პლეტნევი, ლევინი, კაზაკოვი, რომლებმაც ადამიანური სახე დაჰკარგეს, უნდა იქნან მოსპობილი, უნდა აღიგავონ საბჭოთა მიწის პირისაგან.

მიტინგზე გამოვიდნენ აგრეთვე იურიდიული ფაკულტეტის დეკანის მოადგილე ამხ. ნ. ლომსაძე, სტუდენტები ამხანაგები ი. ბოლქვაძე და კ. კილაძე. ისინი ერთსულოვნად მოითხოვდნენ ხალხის საზიზღარი მტრების, ფაშისტური დაზვერვების საძაგელ დაქირავებულთა მოსპობას.

ერთსულოვნად მიღებული რეზოლუციით მიტინგი მოითხოვს სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს სამხედრო კოლეგიისაგან მიუსაჯოს დახვრეტა „მემარჯვენე-ტროცკისტულ ბლოკის" საზიზღარ შეთქმულთ.

უნივერსიტეტის კოლექტივი კისრულობს კიდევ უფრო მაღლა ასწიოს რევოლუციური სიფხიზლე, უფრო მჭიდროდ დაირაზმონ ლენინ-სტალინის პარტიის გარშემო.

(საქდესი).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანტისაბჭოთა „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ პროცესი

2 მარტის საღამოს სხდომა

ბრალდებულ ჩერნოვის დაკითხვა*

თავმჯდომარე ულრიხი: ბრალდებულო ჩერნოვ, ადასტურებთ თუ არა თქვენ წინასწარ გამოძიებაზე დაკითხვისას მიცემულ ჩვენებებს?

ჩერნოვი: სავსებით და მთლიანად ვადასტურებ.

ვიშინსკი: ბრალდებულო ჩერნოვ, მიაწოდეთ სასამართლოს მოკლე ბიოგრაფიული ცნობები.

ჩერნოვი: დავიბადე 1891 წელს, ორ წელს ვსწავლობდი სასულიერო სემინარიაში. შევედი მოსკოვის უნივერსიტეტში, სადაც ვსწავლობდი დაახლოებით ორ წელს. 1916 წელს შევედი მენშევიკების პარტიაში და მენშევიკად დავრჩი 1920 წლის იანვრამდე, როცა შევედი კომუნისტურ პარტიაში.

ვიშინსკი: ეს ფორმალურად?

ჩერნოვი: დიაღ.

ვიშინსკი: არსებითად კი?

ჩერნოვი: უნდა ავღიარო, რომ ჩემში ძველი მენშევიკური სული უსათუოდ დარჩა, როგორც კი პარტია შეზღუდვის მეთოდებიდან გადავიდა კულაკურ ელემენტებზე შეტევის მეთოდებზე სოფლად, ამ მენშევიკურმა სულმა დაუყოვნებლივ იჩინა თავი.

უპასუხებს რა სახელმწიფო ბრალმდებლის შეკითხვაზე, ბრალდებული ჩერნოვი აჩვენებს, რომ 1927 წლიდან, როცა ძალზე გამწვავდა კლასობრივი ბრძოლა სოფლად, მან იწყო თანამოაზრეთა შეგროვება ანტისაბჭოთა მუშაობისათვის.

ვიშინსკი: თქვენ 1928 წელს მემარჯვენეთა არალეგალური ორგანიზაციის წევრი იყავით?

ჩერნოვი: მემარჯვენეთა ორგანიზაციაში ჩემი შესვლის ფორმალურ მომენტად შეიქნა მომენტი რიკოვთან ჩემი პირველი შეხვედრის შემდეგ.

ვიშინსკი: თქვენ ამ ორგანიზაციაში რიკოვმა ჩაგაბათ?

დადებითად უპასუხებს რა ამ კითხვაზე, ბრალდებული ჩერნოვი აჩვენებს, რომ 1928 წლის შემოდგომაზე იგი შეხვდა რიკოვს ყირიმში. ამ შეხვედრისას ჩერნოვმა აცნობა რიკოვს. უკრაინაში თანამოაზრეები მყავსო. განაგრძობს რა თავის ჩვენებებს, ბრალდებული ჩერნოვი სასამართლოს აცნობებს, რომ მან რიკოვისაგან მიიღო მითითებანი ანტისაბჭოთა მუშაობის გასაშლელად.

ჩერნოვი: თქვენი ამოცანა, მეუბნებოდა რიკოვი, იმაში მდგომარეობს, რომ თქვენი მუშაობა იმგვარად აწარმოოთ რათა მიაღწიოთ საშუალო გლეხის გაბოროტებას საშუალო გლეხთა მასებზე იმ რეპრესიული ზომების გავრცელების გზით, რომლებიც მთავრობის მიერ დაწესებულია კულაკების მიმართ. გააღრმავეთ გადახვევები, გააბოროტეთ საშუალო გლეხი, განსაკუთრებულად მხედველობაში მიიღეთ უკრაინელი მოსახლეობის ნაციონალური გრძნობა და ყველგან განმარტეთ, რომ ეს გადახვევები მოსკოვის პოლიტიკის შედეგია, და სწორედ ამ გზით შექმნით ჩვენ კადრებს და აამხედრებთ გლეხობას საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ და ც. კ-ის წინააღმდეგო.

ვიშინსკი: ბრალდებულო რიკოვ, გვითხარით, შეესაბამება თუ არა სინამდვილეს ჩერნოვის ჩვენებათა ეს ნაწილი?

რიკოვი: მე ჩერნოვს შევხვდი და ვცდილობდი დამერწმუნებინა იგი ჩემი მაშინდელი კონტრრევოლუციური საქმიანობის სისწორეში, განზრახვა მქონდა გამეხადა იგი ჩემ მომხრედ, ჩერნოვის სახით კი მზამზარეული მომხრე ვპოვე.

ჩერნოვი: 1928 წლის დამლევს მე უნდა წავსულიყავი გერმანიაში სამკურნალოდ. ვიცოდი რა, რომ გერმანიაში ცხოვრობდა ჩემი ძველი ამხანაგი მენშევიკური ორგანიზაციიდან, გადავწყვიტე მენახა ის.

ვიშინსკი: ვინ არის ის?

ჩერნოვი: კიბრიკი, რომელთანაც მიწერ-მოწერა მქონდა 1925 წლამდე. გერმანიაში გამგზავრებამდე გადავწყვიტე შევსულიყავი რიკოვთან მოსკოვში.

ვიშინსკი: თქვენ გინდოდათ გაგეგოთ რიკოვისაგან — ხომ არ იქნებოდა რაიმე დავალება არალეგალური მუშაობის ხაზით?

ჩერნოვი: მემარჯვენეთა ორგანიზაციის ხაზით რიკოვი მიცნობდა მე, როგორც ძველ მენშევიკს, და დამისვა კითხვა შევიძლებდი თუ არა გერმანიაში ყოფნის დროს შევხვედროდი დანს და დამემყარებინა მასთან კავშირი და გადამეცა დავალება მემარჯვენეთა ცენტრის სახელით. რიკოვმა დამავალა დამემყარებინა კავშირი დანთან და გადამეცა მისთვის დავალება მემარჯვენეთა ცენტრისაგან.

ვიშინსკი: რა დავალება?

ჩერნოვი: დავალება შემდეგში მდგომარეობდა: მე-2 ინტერნაციონალის პარტიების საშუალებით აემხედრებინათ კაპიტალისტური ქვეყნების საზოგადოებრივი აზრი საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ, მე-2 ინტერნაციონალის ლიდერების საშუალებით მიგვეღწია, რათა ბურჟუაზიულ მთავრობებს გაეძლიერებინათ მტრული დამოკიდებულება საბჭოთა კავშირისადმი, მე-2 ინტერნაციონალის, ხოლო მისი ლიდერების საშუალებით ბურჟუაზიული მთავრობებისაგანაც, მიეღოთ დახმარების დაპირება იმ შემთხვევისათვის, თუ საბჭოთა კავშირში ხელისუფლებას დაიპყრობდნენ მემარჯვენეები. ამაზე მე რიკოვს ვუთხარი, რომ დანი უეჭველად დასვამს მთელ რიგ საკითხებს მემარჯვენეთა ორგანიზაციის ძალების შესახებ, იმის შესახებ, თუ რას გააკეთებს მემარჯვენეთა ორგანიზაცია ხელისუფლების სათავეში ჩადგომის შემდეგ.

ამაზე რიკოვმა სთქვა: „თქვენ შეგიძლიათ დაარწმუნოთ დანი, რომ ჩვენ საკმაო ძალები მოგვეპოვება საბჭოთა კავშირში, რათა დავამხოთ ჩვენში არსებული ხელისუფლება და ჩავიგდოთ იგი ხელში“. მეორე, რაც მან აღნიშნა, შემდეგია: შემიძლია განვუცხადო დანს, რომ მემარჯვენეები ხელისუფლებას სათავეში მათი ჩადგომის შემდეგ მთავრობას დაამყარებენ და ანგარიშს გაუწევენ როგორც მე-2 ინტერნაციონალის, ისე ბურჟუაზიულ მთავრობათა მოთხოვნებსაც და შეუთანხმდებიან ბურჟუაზიულ მთავრობებს როგორც ეკონომიური ხასიათის საკითხებზე, ისე, თუ საჭირო იქნება, ტერიტორიული ხასიათის საკითხებზეც.

ვიშინსკი: (მიმართავს რიკოვს): თქვენ მიეცით დავალება ჩერნოვს, რომ დაჰკავშირებოდა ბერლინში დანს?

რიკოვი: დიაღ.

ვიშინსკი: რა მიზნით?

რიკოვი: რამდენადაც მახსოვს, ორი მიზანი იყო. ჯერ ერთი გაშუქება საზღვარგარეთის პრესაში, სოფლის მდგომარეობისა, გლეხთა უკმაყოფილებისა...

ვიშინსკი: რომელ პრესაში?

რიკოვი: მე არ ჩამომითვლია არც პარტიები, არც გაზეთები, მხედველობაში მქონდა სოციალისტური პრესაც და ბურჟუაზიულიც.

ვიშინსკი: მენშევიკურიც?

რიკოვი: დიაღ.

ვიშინსკი: შეიძლება სპეციალურად „სოციალისტიჩესკი ვესტნიკ“?

რიკოვი: კერძოდ, ისიც.

ვიშინსკი: გახსენებაზე, საერთოდ ხომ არ მოგიხდებოდათ ხოლმე ამ პერიოდში „სოციალისტურ ვესტნიკში“ რაიმე კორესპონდენციის გაგზავნა უშუალოდ ან სხვა ვინმეს საშუალებით?

რიკოვი: მე ვაძლევდი მასალას.

ვიშინსკი: შესაძლოა, ცილისმწამებლური ხასიათისა?

რიკოვი: რასაკვირველია.

ვიშინსკი: ეს მასალა ტენდენციურად იყო შერჩეული?

რიკოვი: ტენდენციური და ცილისმწამებლური, ერთი მეორეში ადვილად გადადის.

ვიშინსკი: ერთი სიტყვით, ერთიც და მეორეც. იმ დროს რა თანამდებობა გეჭირათ თქვენ?

რიკოვი: იმ დროს მე ვიყავი კავშირისა და რუსეთის სფს რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე.

ვიშინსკი: ბრალდებულო ჩერნოვ, თქვენ ამტკიცებთ, რომ ძირითადი ამოცანა და ძირითადი დავალება, რომელსაც თქვენ ბრალდებული რიკოვი გაძლევდათ, მდგომარეობდა არა იმდენად ინფორმაციაში, რამდენადაც დახმარების მიღებაში სსრ კავშირისადმი მტრულად განწყობილი იმპერიალისტური სახელმწიფოების მხრივ, — თქვენ ასე ამტკიცებთ?

ჩერნოვი: დიაღ, დიაღ, ვამტკიცებ. მე ვინახულე დანი, ვაცნობე მემარჯვენეთა ცენტრის დავალება და პასუხი მივიღე არა ერთბაშად, რადგან დანმა სთქვა, ერთბაშად პასუხის მოცემა არ შემიძლია, უნდა მოვითათბირო II ინტერნაციონალის ხელმძღვანელებთანო. რამდენიმე დღის შემდეგ მეორე შეხვედრისას ყველა ამ კითხვაზე მე დადებითი პასუხი მივიღე დანისაგან.

ვიშინსკი: განაგრძეთ, ბრალდებულო ჩერნოვ.

ჩერნოვი: მე კიდევ დამავიწყდა მეთქვა, რომ მივიღე დავალება შემექმნა მემარჯვენეთა ორგანიზაცია ჩემი ნაცნობებისაგან, თუ ასეთები არიან სავაჭრო წარმომადგენლობისა და სრულუფლებიანი წარმომადგენლობის თანამშრომელთა შორის გერმანიაში, რაც მე აგრეთვე შევასრულე გერმანიაში ჩასვლის შემდეგ, შევხვდი რა იანოვიცკის. გერმანიაში ჩასვლის შემდეგ მე შევხვდი კიბრიკს. ჩვენ პირობა დავდეთ, რომ კიბრიკი მომიწყობდა დანთან შეხვედრას კენიგსტაინში, სადაც მე საკურნალოდ გავემგზავრე, და კენიგსტაინში შეხვედრა შესდგა. მე ვუამბე დანს საბჭოთა კავშირში მდგომარეობის შესახებ. შავბნელი სურათით ავუწერე სოფლის მეურნეობის მდგომარეობა უკრაინაში და გადავეცი დანს ყველა დავალება, რომლებიც მიღებული მქონდა მემარჯვენეთა ცენტრისაგან რიკოვის სახით. ამაზე დანმა მიპასუხა, რომ მემარჯვენეებმა კიდევაც რომ დაიპყრან ხელისუფლება, ძალაუფლების შენარჩუნებას თუნდაც რამდენიმედ ხანგრძლივად ვერ მოახერხებენ, თუ არ ექნებათ ჯეროვანი დახმარება და უწინარეს ყოვლისა კაპიტალისტური სახელმწიფოების შეიარაღებული ძალების დახმარება. გარდა ამისა, თქვენ იმგვარად უნდა წარმართოთ მუშაობა, რომ შეარყიოთ საბჭოთა კავშირის ეკონომიური და პოლიტიკური ძლიერება. ამასთან, თითქოს ახლა იყოს, მახსოვს გამოთქმა, რომელიც მან იხმარა, რომ თქვენ არ უნდა მოერიდოთ არავითარ საშუალებასო. ის, ვინც ხელისუფლების დამხობისათვის იბრძვის და ერიდება ამათუიმ საშუალებას, პოლიტიკური მანილოვია და საჭიროა ახლავე აღმოუჩინოთ დახმარება კაპიტალისტურ სახელმწიფოებს მათ ბრძოლაში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგო. აი დანთან შეხვედრის შედეგები.

დანთან მეორე შეხვედრა შესდგა კიბრიკის ბინაზე. დანმა სთქვა, უკვე მოვასწარი დავკავშირებოდი II ინტერნაციონალის ლიდერებსო და მთხოვა გადმეცა რიკოვისათვის, რომ II ინტერნაციონალის ლიდერები სავსებით იღებენ იმ წინადადებებს, რომლებიც გადავეცი მათ მემარჯვენეთა ცენტრის სახელით.

დანთან საუბრის შემდეგ, რაც, როგორც ვთქვი, კიბრიკის ბინაზე სწარმოებდა, დანი წავიდა, ხოლო მე და კიბრიკი დავრჩით ვახშმად. ვახშმის შემდეგ მე ვაგზალზე უნდა წავსულიყავი. ვახშამზე ბევრი ვსვით. კიბრიკმა მოიმიზეზა რაღაც განსაკუთრებული მოუცლელობა და მითხრა, რომ ვაგზალზე ვერ გამაცილებდა, ჩამსვა ავტობუსში და მეც წავედი, რომ დავბრუნებულიყავი კენიგსტაინში. ავტობუსში, რომლითაც მე ვმგზავრობდი, შემომიჩნდა რამდენიმე გერმანელი. ერთმა მათგანმა მხარი გამკრა, მეც ჩემის მხრივ მხარი გავკარი მას.

ვიშინსკი: ჰოდა რაღა მოხდა?

ჩერნოვი: მოხდა ის, რომ შემიპყრო სამმა გერმანელმა. მათ გააჩერეს ავტობუსი, გადამსვეს ტაქსში და წამიყვანეს პოლიცეი-პრეზიდიუმში.

პოლიცეი - პრეზიდიუმში პროტესტს ვაცხადებდი და მოვითხოვდი გაშვებას. მე მითხრეს, რომ დილამდე უნდა მომეცადა უფროსის მოსვლამდე. იქ ღამე გავათიე. დილით გამოცხადდა პოლკოვნიკი ობერჰაუზი. მან ამოიღო ოქმი, გადამითარგმნა იგი, მე ბრალი მედებოდა გერმანელთა დასახიჩრებაში და პასუხი უნდა მეგო როგორც სისხლის სამართლის დამნაშავეს. გარდა ამისა მითხრეს, რომ ამ ოქმის ასლს გადაგზავნიდნენ ჩვენს სრულუფლებიან წარმომადგენლობაში. და იქვე წინადადება მომცეს ვამხდარიყავი გერმანული ოხრანკის, გერმანული დაზვერვის თანამშრომელი. მე უარი განვაცხადე. მაშინ ობერჰაუზმა მითხრა, მე ვიცი ზოგი რამ თქვენი საქმეების შესახებ გერმანიაშიო. მე შევეკითხე, რა მეთქი? მან მიპასუხა, — თქვენი შეხვედრების შესახებ დანთანო, და მიჩვენა დანთან შეხვედრის რამდენიმე ფოტოგრაფიული სურათი, რომლებიც გადაღებული იყო როგორც კენიგსტაინში, ისე ბერლინში და, გარდა ამისა, მოკლედ გადმომცა დანთან ჩემი საუბრის შინაარსი. მასთან ამ ნაამბობში გარკვევით იყო განმეორებული დანის სიტყვები. მაშინ ჩემთვის აბსოლუტურად ცხადი გახდა, რომ იმ ნადირობას ჩემზე, რაც გერმანიაში სწარმოებდა, აწყობდა გერმანული დაზვერვა თვითონ დანის სრული ხელშეწყობით და დანის მონაწილეობით, და რომ თვითონ დანი, ისევე როგორც კიბრიკი, უთუოდ გერმანული დაზვერვის აგენტი არის.

მე დავთანხმდი. ამის შემდეგ დაიწყო ფორმალური მხარეები, ანკეტები, ხელმოწერა. ობერჰაუზმა მე ინსტრუქციები მომცა იმ მუშაობის შესახებ, რომელიც მე უნდა ვაწარმოო საბჭოთა კავშირში გერმანიის სასარგებლოდ. ამასთან, შენიშნა რა, თუ როგორ ვღელავდი, მან მითხრა: — თქვენ ტყუილად ღელავთ. თქვენ იბრძვით საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, ჩვენც ვიბრძვით საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ და ალბათ ჩვენი ბრძოლის მეთოდებიც კი უახლოეს დროში ერთნაირი იქნება.

ვიშინსკი: რაში გამოიხატა თქვენი თანამშრომლობა გერმანიის დაზვერვასთან?

ჩერნოვი: ობერჰაუზი მე მირჩევდა, ჩავარდნის თავიდან ასაცილებლად, ძალიან არ გამეფართოებინა კავშირი მემარჯვენეებთან, არამედ მქონოდა კავშირი ადამიანთა შეზღუდულ რაოდენობასთან და განმემტკიცებინა ეს კავშირი. თავდაპირველად ჩემთან არავინ მოდიოდა. გავიდა რამდენიმე თვე და მე შევხვდი გერმანიის დაზვერვის წარმომადგენელს.

ვიშინსკი: როგორ მოხდა ეს შეხვედრა?

ჩერნოვი: მე მაშინ ვმუშაობდი, არ მახსოვს, სახალხო კომისრის მოადგილედ თუ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრად. მე დამირეკეს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საინფორმაციო ბიუროდან და მაცნობეს, რომ გერმანული გაზეთის „ბერლინერ ტაგებლატის“ კორესპონდენტი პაულ შეფერი უნდა მომელაპარაკოს ინფორმაციის საკითხებზე. მართლაც, ცოტა ხნის შემდეგ ჩემთან მოვიდა შეფერი და მითხრა, რომ იგი გამოგზავნილია პოლკოვნიკ ობერჰაუზისაგან და დამისახელა პაროლი „რეინოლდი“. ეს იყო ჩემი, როგორც გერმანიის ჯაშუშის, ზედმეტი სახელი.

მე შევეკითხე შეფერს, რა სურს პოლკოვნიკ ობერჰაუზს? ამ ჯერზე მან ჩემგან მოითხოვა ინფორმაცია შინაპარტიული ცხოვრების საკითხებზე. მემარჯვენეებს, ტროცკისტებს შორის, მუშაობის მდგომარეობის საკითხებზე. სოფლად არსებული მდგომარეობის შესახებ. გარდა ამისა მოითხოვა სპეციალური ცნობები სამრეწველო საქონელთა მარაგის შესახებ. განსაკუთრებით აინტერესებდა მას სამრეწველო საქონელთა მარაგი ქალაქში. მომთხოვა ცნობები პურის დამზადების მიმდინარეობისა და პურის სამობილიზაციო მარაგის შესახებ. მოთხოვნილი ცნობების ერთი ნაწილი — პარტიაში არსებული მდგომარეობის ინფორმაციის შესახებ, მემარჯვენეთა შორის მუშაობის შესახებ — მე მას აქვე გადავეცი სიტყვიერად, ხოლო ციფრობრივი ხასიათის ცნობები გადავეცი რამდენიმე დღის შემდეგ.

ამის შემდეგ მე მქონდა მთელი რიგი პერიოდული შეხვედრები შეფერთან. მე მას ვაწვდიდი გერმანიის დაზვერვისათვის ინფორმაციას და მისი საშუალებით გერმანიის დაზვერვისაგან ვღებულობდი მითითებებს მავნებლური მუშაობის ორგანიზაციის შესახებ. ძირითადი დავალება, რომელიც მე მაშინ მომცა გერმანიის დაზვერვამ, მდგომარეობდა იმაში, რომ მოგვეწყო პურის გაფუჭება საბჭოთა კავშირში. ამისთვის უნდა შეგვეფერხებინა საწყობებისა და ელევატორების მშენებლობა, რათა შეგვექმნა შეუფარდებლობა პურის მზარდ დამზადებებსა და საწყობთა ტევადობას შორის და ამით, როგორც შეფერი ამბობდა, გამოგვეწვია ორი რამ: ჯერ ერთი, თვით პურის გაფუჭება და, მეორე, — გლეხების გაბოროტება, რაც აუცილებელია, თუ ისინი ჰხედავენ, რომ პური იღუპება. საჭირო იყო აგრეთვე მოგვეწყო პურის საწყობების მთლიანად დაავადება ბეღლის მავნებლებით და განსაკუთრებით, ტკიპით. შეფერი განსაკუთრებულ მოთხოვნას აყენებდა ბეღლის მავნებლებითა და ტკიპით სამობილიზაციო მარაგთა დაავადების ორგანიზაციის შესახებ. შეფერისაგან მიღებულ ამ დავალებებს მე ვასრულებდი.

ჩემი კავშირი გერმანიის დაზვერვის წარმომადგენლებთან კვლავ განახლდა უკვე მაშინ, როცა მე სამუშაოდ გადაველი დამზადებათა კომიტეტში. ჯაშუშურ-მავნებლური მუშაობა განსაკუთრებით გაძლიერდა მიწსახკომად ჩემი დანიშვნის შემდეგ. დამზადებათა კომიტეტში ჩემი დანიშვნიდან რამდენიმე თვის შემდეგ ჩემთან გამოცხადდა ვინმე რაივიდი, ჩემი ამხანაგი ივანოვის მენშევიკური ორგანიზაციიდან, რომელიც საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატში მუშაობდა ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში. ჩვენ ერთმანეთს ხშირად ვხვდებოდით, ამიტომ მე არ გამიკვირდა, რომ იგი შემოვიდა ჩემთან დამზადებათა კომიტეტში. მაგრამ როცა ჩვენ მარტო დავრჩით კაბინეტში, მან მითხრა: „ჩვენ სერიოზულად უნდა მოვილაპარაკოთ, რეინოლდ“. აქით ყველაფერი გაშიფრული იყო, ყველაფერი ნათელი გახდა. გამოირკვა, რომ რაივიდი არის გერმანიის დაზვერვის რეზიდენტი საბჭოთა კავშირში და ობერჰაუზისაგან მიიღო მითითება — გაება ჩემთან კავშირი. ჩვენ არაერთხელ შევხვდით ერთმანეთს. როცა მე მიწსახკომად დამნიშნეს, ჩვენი შეხვედრების დროს ჩვენ ვამუშავებდით მავნებლური და დივერსიული მუშაობის დაწვრილებით პროგრამას სოფლის მეურნეობის დარგში ძირითად, საკვანძო საკითხებზე. ეს პროგრამა, დამუშავებული გერმანიის დაზვერვის მოთხოვნათა საფუძველზე, შეიცავდა მავნებლობას: თესლის, თესლბრუნვის, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების, მეცხოველეობის ხაზით. ამასთან გერმანიის დაზვერვა განსაკუთრებულ პირობად აყენებდა მავნებლობის მოწყობას მეცხენეობის დარგში, რათა, როგორც რაივიდი ამბობდა, არ მიგვეცა ცხენები წითელი არმიისათვის.

რაც შეეხება მტს-ებს, აქ დასმული იყო ამოცანა გამოგვეყვანა მწყობრიდან ტრაქტორები, კომბაინები, სასოფლო-სამეურნეო მანქანები, შეგვეტანა არევ-დარევა მტს-ების ფინანსიურ მეურნეობაში, რისთვისაც უნდა დაგვეყენებინა მტს-ების სათავეში უვარგისი, დამნაშავე ადამიანები და უწინარეს ყოვლისა ჩვენი მემარჯვენე ორგანიზაციის წევრები.

მეცხოველეობის დარგში დასმული იყო ამოცანები — დაგვეხოცა ჯიშიანი მწარმოებლები, მიგვეღწია იმისათვის, რომ დიდძალი პირუტყვი ამომწყდარიყო, არ მიგვეცა საშუალება, რომ განვითარებულიყო საკვები ბაზა, პირუტყვის დასახოცად განსაკუთრებით გამოგვეყენებინა პირუტყვის ხელოვნური დაავადება სხვადასხვა ბაქტერიებით.

ვიშინსკი: სთქვით დაწვრილებით პირუტყვის გაწყვეტის შესახებ, საიდან ღებულობდით ბაქტერიებს, როგორს და სხვ.?

ჩერნოვი: მე ჩავატარე შემდეგი დივერსიული აქტები. იმისათვის, რომ მიგვეღწია დიდძალი პირუტყვის ამოწყვეტისათვის აღმოსავლეთ ციმბირში, მე წინადადება მივეცი ვეტერინარული სამმართველოს უფროსს გინზბურგს, მემარჯვენეთა ორგანიზაციის მონაწილეს, ხოლო მისი საშუალებით ვეტმომარაგების უფროსს, აგრეთვე მემარჯვენეთა ორგანიზაციის მონაწილეს, არ შეეტანათ წყლულის საწინააღმდეგო ბიოპრეპარატები აღმოსავლეთ-ციმბირში, ვიცოდი რა, რომ აღმოსავლეთ-ციმბირში მეტად საშიში მდგომარეობა იყო ციმბირის წყლულის მხრივ. ეს პრეპარატები იქ არ შეუტანიათ. ამ მომზადებას აწარმოებდნენ 1935 წელს და, როდესაც 1936 წლის გაზაფხულზე იქ ციმბირის წყლული გაჩნდა, აღმოჩნდა, რომ პრეპარატები იქ მართლაც არ იყო შეტანილი და ამით დაიღუპა (ზუსტად არ შემიძლია ვთქვა) ყოველ შემთხვევაში 25.000-ზე მეტი ცხენი.

მეორე. მე დავავალე გინზბურგს და ბაქტერიოლოგიური განყოფილების გამგეს ბოიარშინოვს მოეხდინათ ლენინგრადის ოლქში ღორების ხელოვნური დაავადება წითელი ქარით, ხოლო ვორონეჟის ოლქსა და აზოვ-შავიზღვის მხარეში — ჩოკით.

ამ მიზნით ჩემი წინადადების თანახმად, გამოყოფილ იქნა სამი ფაბრიკა: კაშინცევისა, ორიოლისა და სტავროპოლისა. იქ მომზადებულ იქნა ბიოპრეპარატები დაუსუსტებელი ბაქტერიებით, რომლებსაც სერიათა განსაკუთრებული ნომრები ჰქონდა. ამ სერიათა ნომრები ეცნობა ბოიარშინოვს, რომელმაც შეატყობინა ისინი ადგილებზე ვეტსამმართველოს იმ უფროსებს, რომლებზედაც შეიძლებოდა დაყრდნობა ამ შემთხვევაში. მათ კი თავის მხრივ ეს ნომრები გადასცეს რაიონებში იმ სავეტერინარო ექიმებს, რომლებიც ანტისაბჭოურად იყვნენ განწყობილნი და თუ დიდძალი პირუტყვი გაწყდებოდა დიდს აურზაურს არ ასტეხდნენ.

ამრიგად ეს ბიოპრეპარატები შეტანილ იქნა და ხელოვნური აცრა ჩატარებულ იქნა ამ სამ ოლქში. უნდა ვიფიქროთ, რომ ამ დივერსიული აქტის წყალობით რამდენიმე ათეული ათასი ღორი დაიღუპა.

ვიშინსკი: კიდევ ერთი კითხვა გერმანელთა დაზვერვასთან კავშირის შესახებ. ღებულობდით თუ არა თქვენ რაიმე ფულს დაზვერვისაგან?

ჩერნოვი: ბერლინში მივიღე 2 ათასი მარკა...

ვიშინსკი: სულ რამდენი?

ჩერნოვი: დაახლოებით 30 ათასი გერმანულ მარკამდე და 150 ათას მანეთამდე საბჭოთა ფულით. ამ ფულის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩემი პირადი საჭიროებისათვის გამოვიყენე, ერთი ნაწილი კი მემარჯვენეთა ორგანიზაციის იმ წევრების მოსასყიდად, რომელთა მოსყიდვაც საჭიროდ მიმაჩნდა.

ვიშინსკი: გვიამბეთ რიკოვთან თქვენი შემდგომი კავშირის შესახებ.

ჩერნოვი: გარდა იმ შეხვედრებისა რიკოვთან, რომლებზედაც გიამბეთ, შემდეგი შეხვედრა მასთან 1930 წლის დეკემბერში მქონდა. მან თვითონ გამომიწვია, შეხვედრა მის ბინაზე მოხდა.

სულისკვეთება ისეთი იყო, რომ უახლოეს ხანში აუცილებელია გლეხთა აჯანყებები, რომლებიც თუ მემარჯვენეთა ორგანიზაციის მხრივ სათანადო ხელმძღვანელობა იქნებოდა, ხელს შეუწყობდა ჩვენს ქვეყანაში ხელისუფლების დაპყრობაზე გადასვლას.

იქვე მივიღე რიკოვისაგან მითითებაც მავნებლური მუშაობის მოწყობის შესახებ.

შემდეგ რიკოვს შევხვდი აგრეთვე მისივე მოწვევით, მგონია, ოქტომბერში, ყოველ შემთხვევაში, 1932 წლის შემოდგომაზე. ამ შეხვედრას ადგილი ჰქონდა იმ მომენტში, როცა სოფლად მკვეთრი ცვლილება მოხდა. საკოლმეურნეო მოძრაობა განმტკიცდა, კულაკობა განადგურებული იყო, და სოფელი უკვე რეალურად გრძნობდა ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის შედეგებს. თუმცა რიკოვი ცდილობდა გარეგნულად გულდამშვიდებულ კაცად მოეჩვენებინა თავი, მაგრამ ცხადი იყო, რომ იგი თავზარდაცემულია იმ პოლიტიკური პროგნოზების დამარცხებით, რომლებსაც იგი მანამდე იძლეოდა. და მან ჩემთან საუბარში საკითხი იმგვარად დააყენა, რომ ჩვენ კიდევ უფრო მეტად ფარული უნდა გავხადოთ არალეგალური მუშაობა და ხელისუფლების დაპყრობის საქმეში გეზი აგვეღო „სასახლის გადატრიალების“ მოხდენაზე. როგორც იგი ამბობდა, ჩვენ „სასახლის გადატრიალების გზით“, ე. ი. პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა დაპატიმრებისა და მოკვლის გზით ხელში უნდა ჩავიგდოთ ძალაუფლება ჩვენს ქვეყანაშიო.

ვიშინსკი: როდის იყო შემდეგი შეხვედრა რიკოვთან?

ჩერნოვი: შემდეგი შეხვედრა იყო 1934 წელს, საბჭოთა კავშირის მიწსახკომად ჩემი დანიშვნის რამდენიმე თვის შემდეგ. ეს მოხდა რიკოვის მიერ მის აგარაკზე გაწვევით. აქ რიკოვმა დამიყენა ამოცანა, რომელიც იმაში გამოიხატებოდა, რომ მე ჩემი მუშაობა ისე უნდა მომეწყო, რომ მიმეღწია საკოლმეურნეო წყობილების ძირგამოთხრისათვის, საამისოდ კი ისე გამეწია ხელმძღვანელობა კოლმეურნეობებისათვის, რომ კოლმეურნეს არ ჰქონოდა დაინტერესება საკოლმეურნეო წარმოებით. ამისათვის კი ისე გავძღოლოდი საკოლმეურნეო მეურნეობას, რომ კოლმეურნეს, როგორც იგი ამბობდა, გროშები მიეღო შრომა-დღეებში.

რიკოვთან ჩემი შემდეგი და უკანასკნელი შეხვედრა მოხდა ან 1935 წლის დამლევს, — ზუსტად არ მახსოვს, — ან 1936 წლის დასაწყისში. ეს იყო იმ პერიოდში, როცა კრემლში მიმდინარეობდა პარტიის ხელმძღვანელებისა და მთავრობის წევრების ცნობილი თათბირები სოფლის მეურნეობის მოწინავეებთან. ამ შეხვედრისას რიკოვის მითითებანი შემდეგით გამოიხატებოდა. ის ამბობდა, ჩვენ არ შეგვიძლია მხედველობაში არ მივიღოთ კოლმეურნეობათა ის ზრდა და განმტკიცება, რაც ჩვენს ქვეყანაში გვაქვს, და იმ ახალი საკოლმეურნეო კადრების ზრდა, რომლებიც გამოვლენილი არიან ამ თათბირებზე. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ სოფლად არ გვყავდეს ძალები, რომელთა დარაზმვაც ჩვენ შეგვეძლოს. და როგორც ასეთ ძალებს, ასახელებდა კულაკურ ელემენტებს სპეცგადასახლებიდან დაბრუნებულთა სახით და ანტისაბჭოურად განწყობილ ელემენტებს სოფლის ძველი ინტელიგენციიდან: აგრონომებს, ექიმებს, ზოოტექნიკოსებს და ა. შ. ეს ძალები ჩვენ ყოველნაირად უნდა დავრაზმოთ და ჩვენი საქმისათვის გამოვიყენოთო. და განსაკუთრებით ხაზს უსვამდა, რომ ჩვენს ქვეყანაში მემარჯვენეების მიერ ძალაუფლების დაპყრობის შესაძლებლობისათვის ორი გამოსავალი არსებობს: ეს არის პარტიის ხელმძღვანელობისა და მთავრობის ხელმძღვანელობის ძალად მოშორება თავიდან, ესე იგი მათი დაპატიმრება ან მოკვლა, ან ორივე ერთად.

და ის განსაკუთრებით აღნიშნავდა, რომ აუცილებელია საბჭოთა კავშირის დამარცხება ომში კაპიტალისტურ ქვეყნებთან იმ შემთხვევაში, თუ უკანასკნელნი ჩვენ თავს დაგვესხმიან. და ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულად მიმითითებდა მავნებლური და დივერსიული მუშაობის მთელ მნიშვნელობაზე და ამბობდა: რაკი ჩვენთვის აუცილებელია საბჭოთა კავშირის დამარცხება ჩვენს ქვეყანაში ძალაუფლების მოსაპოვებლად, ჩვენ ეს დამარცხება უნდა დავაჩქაროთ, უნდა დავაჩქაროთ აგრეთვე თვით ომის დაწყებაც საბჭოთა კავშირის ეკონომიური და თავდაცვითი ძლიერების შემცირების გზითო.

ვიშინსკი: თქვენს შეხვედრებს რიკოვთან, თქვენი სიტყვით, ისეთი ხასიათი ჰქონდათ, რომ თქვენ რიკოვისაგან მითითებებსა და ინსტრუქციებს ღებულობდით თქვენი დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ? ხომ ასეა?

ჩერნოვი: ასეა.

ვიშინსკი: ბრალდებულო რიკოვ, ჩერნოვისთანა თანამონაწილეები ბევრი გყავდათ?

რიკოვი: ეს ჩემი შეცდომა იყო. მაგრამ მას მე ძალიან თვალსაჩინო თანამონაწილეთა რიცხვს არ ვაკუთვნებ. მან გზად რესტორნიდან ვაგზლამდე მოასწრო პოლიცეი-პრეზიდიუმში მოხვედრილიყო.

ვიშინსკი: აი ვთქვათ, საბრალდებულო სკამი. აქ ცოტანი როდი არიან თქვენი თანამონაწილენი, ჩერნოვი ერთი მათგანია?

რიკოვი: დიაღ.

ვიშინსკი: თქვენ კი ბრალდებულო ჩერნოვ, რიკოვისთანა ხელმძღვანელები ბევრი გყავდათ?

ჩერნოვი: გარდა რიკოვისა და გერმანული დაზვერვისა — არავინ.

---

*) შემოკლებული სტენოგრამა.

მუშათა და გლეხთა მოსისხლე მტრები ხალხის სამსჯავროს წინაშე

ამზადებდნენ რა დანაშაულებრივ ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ფაშისტთა შტაბები და დაზვერვები უბრძანებდნენ თავიანთ აგენტებს ტროცკისტებს, ბუხარინელებს, ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს: ყოველგვარი საშუალებით ააოხრეთ გლეხობა, მიიყვანეთ იგი შიმშილამდე, სიღატაკემდე. და საზიზღარი გადაგვარებულნიც „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკიდან“ ღებულობდნენ ამ ბრძანებას არა მარტო მოსყიდულ ჯაშუშთა და ბანდიტთა მზადყოფნით, არამედ სრული თანხმობითაც. ეს კაცთმოძულე დირექტივა მათს საკუთარ შეხედულებებს უპასუხებდა. როგორც ჯაშუშმა და დივერსანტმა ჩერნოვმა აჩვენა სასამართლოში. გერმანიის დაზვერვის დირექტივა და რიკოვის დირექტივა სასოფლო-სამეურნეო მავნებლობის დარგში სავსებით ემთხვეოდნენ ერთმანეთს. ისინი ამბობდნენ ერთს: შიმშილის ორგანიზაცია სოფლად და ქალაქად.

ჩერნოვის, გრინკოს, ზუბარევის, ივანოვის, რიკოვის მიერ სასამართლოსათვის მიცემულ ჩვენებებში გადაიშალა იმ ბოროტმოქმედებათა საზიზღარი სურათი, რომლებიც ჩადენილ იქნა სოფლად „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ მითითებებით. ეს პროფესიული ჯაშუშები, პროვოკატორები, მკვლელები ცინიკური საქმიანობით აძლევდნენ სასამართლოს ჩვენებას, თუ როგორ უთხრიდნენ ისინი ძირს გლეხურ მეურნეობას, როგორ სტოვებდნენ გლეხობას უპუროდ მთელ რიგ ადგილებში, როგორ სწამლავდნენ პირუტყვს ნათესებს, როგორ ამტვრევდნენ სასოფლო-სამეურნეო მანქანებს და ცდილობდნენ კოლმეურნეობათა დანგრევას.

მათ უნდოდათ ასე გაეძლოთ მთელს ჩვენს ქვეყანაში და თავის უკან დაეტოვებინათ ნაცარ-ტუტად ქცეული სოფლები, მოსპობილი ნათესები, მოწამლული პირუტყვი, დამშეული ადამიანები, მომაკვდავი ბავშვები. ეს იყო მათი პროგრამა, გარეწრების ბუხარინისა და რიკოვის მიერ გულდასმით მოფიქრებული და შემუშავებული, ტროცკის მიერ მოწონებული, ზოგიერთი უცხო სახელმწიფოს გენერალურ შტაბებთან და ფაშისტურ დაზვერვებთან შეთანხმებული. საზიზღარი იუდები, რომლებმაც ლეგენდარულ გამცემელს გადააჭარბეს, მიზნად ისახავდნენ დაეუძლურებინათ. სისხლისაგან დაეცალათ საბჭოთა ქვეყანა, რათა გასაგლეჯად მიეგდოთ იგი იმპერიალისტური მტაცებლებისათვის.

ტროცკისტებმა და ბუხარინელებმა ხალისით მოჰკიდეს ხელი ამ ბინძურ და სისხლიან სამუშაოს იმიტომ, რომ მათ სძულთ საბჭოთა გლეხობა ისევე საშინლად, როგორც მუშები. ტროცკისტთა და ბუხარინელთა გაუმაძღარი გაბოროტება — ეს არის მგლური გაბოროტება მემამულეებისა და კაპიტალისტებისა, რომლებსაც სოციალისტურმა რევოლუციამ ჩამოართვა ფაბრიკები და ქარხნები, მიწები და საკარმიდამო ნაკვეთები. ეს არის ძაღლური გააფთრება კულაკობისა, რომელსაც სოციალისტურმა რევოლუციამ გლეხთა მასებისათვის ექსპლოატაციის გაწევის საშუალება მოუსპო.

პირწავარდნილი პროვოკატორი ივანოვი, რომელმაც თავისი პირველი მასწავლებელი, ჟანდარმთა პოდპოლკოვნიკი კოლოკოლოვი შესცვალა მეორე მასწავლებლით, ბუხარინით, აჩვენებდა, რომ ჩრდილო კავკასიაში მას მიცემული ჰქონდა ბუხარინული „ორიენტირება“ კულაკური აჯანყებებისაკენ. კულაკური აჯანყებანი მოასწავებდნენ გლეხთა და მუშათა სისხლის ზღვას, საბჭოთა გლეხობის საუკეთესო ნაწილის ამოჟლეტას, კოლმეურნეობათა მოსპობას, მშრომელ გლეხთა მთელი ქონების გაძარცვას. სწორედ ამაზე ოცნებობდნენ მეფის ოხრანკის გაერთიანებული ჯაშუშები და უცხოეთის დაზვერვათა ჯაშუშები. მაგრამ ეს ბინძური ოცნებები ჩაიშალა. კულაკურ აჯანყებათა ნაცვლად მათ ნახეს კულაკობის სრული განადგურება. სოფლად ხანძრების ნაცვლად, რომლებსაც ისინი ამზადებდნენ, გაპარტახებული კოლმეურნეობების ნაცვლად — საბჭოთა სოფლის აყვავება, გლეხთა შეძლებულობის ზრდა. პატიოსანი, სოციალისტური შრომის ზეიმი.

საკოლმეურნეო წყობილების უდიდესი გამარჯვებანი აღვივებდნენ ფაშისტ გადაგვარებულთა სიძულვილს საბჭოთა გლეხობისადმი. მომწამვლელ-ბანდიტთა ფანტაზია ოსტატურად იგონებდა სოფლის მეურნეობაში მავნებლობის საშინელ ფორმებს. ჩერნოვმა და ზუბარევმა თავისი მდგომარეობა პირუტყვის მასობრივი მოწამვლისათვის გამოიყენეს.

ისინი, როგორც ბოროტი ორფეხა ვირთაგვები, ყოველგვარი საშუალებით აფუჭებდნენ მოსავალს, ტკიპით სწამლავდნენ შეგროვილ მარცვალს, ღუპავდნენ პურს ბეღლებში.

ბურჟუაზიული ნაციონალისტი გრინკო, მემამულეთა დამქაში, ასრულებდა ბუხარინის საზიზღარ დირექტივას: „ზიანი მიაყენოს საბჭოთა მანეთით საბჭოთა მეურნეობას“. გრინკო პირველ რიგში ზიანს აყენებდა მუშებსა და გლეხებს. მისი ხელმძღვანელობით ისეთივე არამზადები, როგორც იგი თვითონ იყო, განზრახ ჰქმნიდნენ დაბრკოლებებს საგადასახადო პოლიტიკაში. შლიდნენ საბჭოთა ხელისუფლების საფინანსო პოლიტიკას. შლიდნენ სოფლის მომარაგებას საქონლით. აკეთებდნენ ყველაფერს, რაც კი მათზე იყო დამოკიდებული. რათა გაძლიერებინათ მუშათა და გლეხთა უკმაყოფილება საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ.

მემარჯვენე-ტროცკისტული არამზადების გააფთრებული წინააღმდეგობის მიუხედავად, საკოლმეურნეო წყობილებამ გაიმარჯვა. შრომადღე დიდად გაიზარდა. ობერ-ჯაშუში რიკოვი, რომელსაც უწმინდური გაბოროტება აჩრჩობს, თავის დამქაშს ჩერნოვს აძლევს დირექტივას: „საჭიროა, რომ კოლმეურნემ შრომადღეში გროშები მიიღოს“. და გერმანიის ჯაშუშის ბინძური ხელიც ეპოტინება საბჭოთა გლეხს, ცდილობს გაძარცვოს იგი, გააუბედუროს. წაართვას მას პატიოსანი საკოლმეურნეო შრომის შედეგები.

მეფისა და ფაშისტური ოხრანკების აგენტები, საბრალდებულო სკამზე სხედან. შემთხვევითს გარემოებას კი არ მიუყვანია მეფის ოხრანკის აგენტები ივანოვი, ზუბარევი, ზელენსკი ბუხარინთან და რიკოვთან! თავი იჩინა გამცემლური სულების მჭიდრო ნათესაობამ. ბურჟუაზიული რესტავრაცია ტროცკისებურად და ბუხარინისებურად — ეს არის ცარიზმის აღდგენა მთელი თავისი ჟანდარმული ფორმით.

საზიზღარი და უბადრუკი ტროცკისტ - ბუხარინელი არამზადები! როგორც ქვეწარმავალნი, დასრიალებდნენ ისინი საბჭოთა წმინდა მიწა-წყალზე. ისინი ებღაუჭებოდნენ ტრაქტორის ბორბლებს და ცდილობდნენ შეეჩერებინათ მისი მოძრაობა საკოლმეურნეო მინდვრებზე. მაგრამ ტრაქტორი სრესდა მათ და ბინძურ ლორწოს სტოვებდა მათ ადგილზე.

როგორც ქურდები, ისინი ცდილობდნენ გაეძარცვათ კოლმეურნე და გროშებად გადაექციათ შრომადღე. მაგრამ გლეხობისადმი სიყვარულით, მასზე მზრუნველობით გამსჭვალულმა, სტალინური ცენტრალური კომიტეტის ბრძნულმა პოლიტიკამ ხალხის ყველა მტერთან დაუღალავ ბრძოლაში უზრუნველჰყო კოლმეურნე მასების შეძლებულობის განუწყვეტელი ზრდა. შრომადღე სულ უფროდაუფრო სრულწონიანი ხდება. არავითარ ძალას არ შეუძლია გადაახვევინოს ჩვენს გლეხობას საკოლმეურნეო გზიდან. ბედნიერი ცხოვრება ჰყვავის სოფლად, მიუხედავად ფაშისტური დაზვერვებისა და მათი ტროცკისტულ - ბუხარინული აგენტურის ყოველგვარი საზიზღარი ოინებისა.

და აი საბჭოთა ხალხის მიერ განადგურებული წარსდგა სასამართლოს წინაშე კაპიტალისტური სამყაროს საზიზღარი ნამსხვრევი: „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკი“. აი ვის აძლევდნენ ფულს ფაშისტური და სხვა დაზვერვები, რომლებსაც ამ საზიზღარი კაცუნების ძალის იმედი ჰქონდათ. ისინი იმპერიალისტურ მტაცებლებს დაჰპირდნენ, რომ შეჰბოჭავდნენ საბჭოთა ქვეყანას და მას დაუძლურებულს, სისხლისაგან დაცლილს, გამარჯვებულთა სამადლოდ გახდიდნენ. მაგრამ ახლა, სდგანან რა საბჭოთა სასამართლოს წინაშე, ისინი იკლაკნებიან კვანძად გადანასკვული მატლებივით, ინანიებენ და ცრუობენ, ცრუობენ და ინანიებენ. იწვევენ რა თავისადმი მთელი პატიოსანი კაცობრიობის უსაზღვრო სიძულვილსა და ზიზღს.

ეს არის კაპიტალისტური სამყაროს ნამსხვრევი, წარმოშობილი ყოველგვარი მანკიერებით, როგორიც კი საუკუნეებით შეუქმნია ექსპლოატატორულ წყობილებას: უპატიოსნებით და გამყიდველობით, სიცრუით, დაქირავებულ მკვლელთა ამორალობით, კაცთმოძულეობით, პოლიტიკურ რისკიანთა გარყვნილებით, აპოგეამდე აყვანილი ურჯულობით.

ისინი დიდი ხანია, რაც შინაგან დალპნენ. მათი სიტყვები — სულ ერთიანად სიმყრალეა. მთელი საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად მოითხოვს მუშათა და გლეხთა სოციალისტური სახელმწიფოს მოსისხლე და უსაზიზღრეს მტერთა ამ ბინძური ბანდის მოსპობას.

„პრავდის“ მოწინავე, 4,III

ანტისაბჭოთა „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" პროცესი

3 მარტის საღამოს სხდომის დღიური

შესვენების შემდეგ პროკურორი ამხ. ვიშინსკი ეკითხება ბრალდებულ რაკოვსკის ბრალდებულ კრესტინსკის ტროცკისტული საქმიანობის შესახებ.

ლაპარაკობს რა კრესტინსკის ჩვენებებზე, რომლებიც მან წინადღეს მისცა, რაკოვსკი ამბობს, რომ ისინი „სინამდვილეს არ შეესაბამებიან" ის აცხადებს, რომ კრესტინსკი იყო და დარჩა აქტიური ტროცკისტი. რაკოვსკი ჩერდება იმ წერილზე, რომელიც კრესტინსკიმ 1927 წელს ტროცკის გაუგზავნა. წინადღეს კრესტინსკი მიუთითებდა, რომ გაჩხრეკისას მას უპოვეს ასლი იმ წერილისა, რომელშიაც იგი აცხადებდა, ტროცკიზმს ვშორდებიო. რაკოვსკის ჩვენებებით დასტურდება, რომ ლაპარაკია იმ წერილზე, რომელიც საბჭოთა პრესაში იყო გამოქვეყნებული. რაკოვსკი აცხადებს, რომ ეს წერილი ორგულური იყო. ესაუბრა რა ტროცკის ამ წერილის გამოქვეყნებისთანავე, რაკოვსკიმ მას უთხრა, წერილი მხოლოდდამხოლოდ იმისთვის არის განკუთვნებული, რომ „ალიბის" როლი შეასრულოსო. რაკოვსკი ლაპარაკობს იმ საუბრებზე, რომლებიც მას ჰქონდა კრესტინსკისთან 1927 წელს, კერძოდ, იმ საუბარზე, რომელიც მოხდა ბერლინში კამენევის მონაწილეობით, და აღნიშნავს, რომ ამ წერილის შედგენის მომენტში კრესტინსკი ნამდვილად რჩებოდა ტროცკისტად. კრესტინსკი ტროცკისტად რჩებოდა 1927 წლის შემდეგაც. ამის დასადასტურებლად რაკოვსკი მიუთითებს პირად წერილზე, რომელიც მან 1929 წელს მიიღო კრესტინსკისაგან.

დაჰკითხავს რა კრესტინსკის რაკოვსკის ჩვენებათა დედა არსის გამო, პროკურორი უყენებს მას ნივთიერ საბუთებს: კრესტინსკის იმ წერილის პირს, რომელიც მან ტროცკის გაუგზავნა 1927 წლის 27 ნოემბერს, კრესტინსკის მიერ გაზეთ „ეკონომიჩესკაია ჟიზნის" რედაქციისადმი 1928 წლის 22 მარტს გაგზავნილ წერილის ტექსტს. კრესტინსკი იძულებულია აღიაროს მისთვის წარდგენილ დოკუმენტების ნამდვილობა, აგრეთვე ბრალდებულ რაკოვსკის ჩვენებათა სისწორე.

— თუ ეს მართალია, — ამბობს ამხ. ვიშინსკი, — განაგრძობთ თუ არა თქვენ სასამართლოს მოტყუებას და თქვენ მიერ წინასწარი გამოძიების დროს მიცემულ ჩვენებათა სისწორის უარყოფას?

კრესტინსკი აცხადებს, რომ ახლა იგი ადასტურებს თავის ჩვენებებს, მიცემულს წინასწარი გამოძიების დროს.

ვიშინსკი: მაშინ რას ნიშნავს თქვენი გუშინდელი განცხადება, რომელიც შეიძლებოდა შეფასებულ იქნას სხვანაირად, თუ არა როგორც ტროცკისტული პროვოკაცია პროცესზე?

კრესტინსკი: გუშინ, ცრუ შერცხვენის წუთიერი მწვავე გრძნობის ზეგავლენით, რომელიც გამოწვეული იყო ბრალდებულთა სკამზე ჯდომით და მძიმე შთაბეჭდილებით გამოქვეყნებული საბრალდებლო აქტისაგან, რასაც ამძიმებდა ჩემი ავადმყოფობა, მე ვერ შევძელი მეთქვა სიმართლე, ვერ შევძელი მეთქვა, რომ მე დამნაშავე ვარ. და იმის ნაცვლად, რომ მეთქვა—დიახ, მე დამნაშავე ვარ, მე თითქმის მაშინალურად ვუპასუხე — არა, არა ვარ დამნაშავე.

ვიშინსკი: მაშინალურად?

კრესტინსკი: მე ვერ შევძელი მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის წინაშე მეთქვა სიმართლე, რომ მე მუდამ ვეწეოდი ტროცკისტულ ბრძოლას.

მე ვთხოვ სასამართლოს ჩაინიშნოს ჩემი განცხადება, რომ მე სავსებით და მთლიანად ვცნობ თავს დამნაშავედ პირადად ჩემთვის წამოყენებულ ყველა ბრალდებაში.

სასამართლო გადადის ბრალდებულ რიკოვის დაკითხვაზე.

რიკოვი იწყებს ჩვენებებს თავისი ძირგამომთხრელი, არალეგალური საქმიანობის შესახებ 1928 წლიდან. იგი ამბობს, რომ მისი დირექტივებით ბევრმა მემარჯვენემ დაფარა მაშინ, რომ ისინი მემარჯვენე ოპოზიციას ეკუთვნოდნენ. ამ ჯგუფიდან ერთერთი იყო იაგოდა, რომელსაც მაშინ გაერთიანებული სახელმწიფო პოლიტსამმართველოს თავმჯდომარის მოადგილის თანამდებობა ეკავა.

— გქონდათ თუ არა თქვენ იაგოდასთან შეთანხმება იმის შესახებ, რომ იგი გაუფრთხილდებოდა თქვენს კადრებს? — ეკითხება ამხ. ვიშინსკი.

რიკოვი ამ კითხვაზე დასტურით პასუხობს. პროკურორის მიერ მიცემულ კითხვაზე ბრალდებული იაგოდაც ადასტურებს პირდაპირი ღალატის ამ ფაქტს.

რიკოვი აჩვენებს, რომ მემარჯვენეთა კონტრრევოლუციურ ორგანიზაციას ჰყავდა თავისი ცენტრი რიკოვის, ბუხარინის, ტომსკის სახით. ეს ცენტრი იძლეოდა მითითებებს კულაკურ საჯანყებო გამოსვლათა მოწყობის შესახებ, კერძოდ ჩრდილო კავკასიაში და ციმბირში. ასეთი გამოსვლების მოსაწყობად ჩრდილო კავკასიაში სპეციალურად მივლინებულ იქნა ბუხარინის ერთერთი უახლოესი თანამონაწილე სლეპკოვი. სახელმწიფო ბრალმდებლის კითხვაზე ბუხარინი ადასტურებს, რომ იგი აძლევდა დირექტივებს კულაკურ აჯანყებათა მოწყობის შესახებ.

შემდეგ რიკოვი ჩვენებას აძლევს მემარჯვენეთა კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ბოროტმოქმედებათა შესახებ ტერორის ხაზით. მემარჯვენეთა ცენტრი აძლევდა დირექტივებს ტერორის შესახებ, ჰქმნიდა ტერორისტულ ორგანიზაციებს. რიკოვი პირადად აწყობდა მთავრობის მანქანებისათვის თვალყურის დევნებას. მემარჯვენეებმა ბუხარინისა და ესერ სემიონოვის საშუალებით ტერორისტული აქტების მოწყობაში ჩააბეს ესერთა ტერორისტული ჯგუფი. მემარჯვენეთა ცენტრის დასტურით სემიონოვი ამზადებდა თავდასხმას ამხანაგებზე — სტალინზე და კაგანოვიჩზე. პროკურორის მიერ მიცემულ კითხვაზე ამას ადასტურებს ბუხარინიც.

* * *

შესვენების შემდეგ გრძელდება ბრალდებულ რიკოვის დაკითხვა. იგი აღიარებს, რომ 1933-34 წელს კონტრრევოლუცია ცდილობდა თავისი ძალების გაერთიანებას. შეიქმნა ცენტრი ტროცკისტთა და ზინოვიეველთა მონაწილეობით კამენევის, პიატაკოვის, ენუქიძის შემადგენლობით. ამ ცენტრში შემდეგ შევიდნენ რიკოვი, ბუხარინი, ტომსკი.

რიკოვი აჩვენებს, რომ 1934 წელს იხილავდნენ კონტრრევოლუციური ორგანიზაციის ძალთა გამოყენების შესაძლებლობას მომავალ XVII პარტიულ ყრილობასთან დაკავშირებით. მემარჯვენე ტროცკისტი ბანდიტები იხილავდნენ XVII ყრილობის დაპატიმრების გეგმას. შეთქმულებს იმედი ჰქონდათ, რომ მთავრობის ხელმძღვანელებთან ერთდროულად შესაძლო იქნება რესპუბლიკებისა და ოლქების იმ თვალსაჩინო მუშაკთა დაპატიმრება, რომელნიც წინააღმდეგობას გაუწევენ გადატრიალებას. მაგრამ ეს გეგმა ჩაიშალა. შეთქმულნი ხედავდნენ, რომ ჩვენს ქვეყანაში არსებული მდგომარეობა არ აძლევს მათ წარმატების იმედს, რომ პარტიის მჭიდრო დარაზმულობის, მთავრობის პოპულარობის გამო გადატრიალების ცდა ნამდვილ ავანტურად იქცევა.

მაშინ მემარჯვენეებმა აიღეს „ახალი ორიენტაცია". და აქ, როგორც რიკოვი აჩვენებს, მათი ძირითადი გეზი მიმართული იყო სსრ კავშირის სამხედრო დამარცხებისაკენ. „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" ცენტრმა კავშირი გააბა გერმანელ ფაშისტებთან კარახანის საშუალებით, რომელმაც ცენტრს აცნობა, რომ გერმანელი ფაშისტები სავსებით თანაუგრძნობენ ხელისუფლების სათავეში მემარჯვენეთა ჩადგომის შესაძლებლობას, რომ ისინი თანახმა არიან დაეხმარონ მათ განსაზღვრული ტერიტორიული დათმობის პირობით. რიკოვი აცხადებს, რომ გერმანელები მოითხოვდნენ საბჭოთა კავშირის დანაწილებას, ნაციონალური რესპუბლიკების ჩამოშორებას სსრ კავშირისაგან.

ვიშინსკი: თავის დანაშაულებრივ მიზნებისაკენ თქვენ მიდიოდით ღალატის ფასად?

რიკოვი: რასაკვირველია.

შემდეგ, უპასუხებს რა სსრ კავშირის პროკურორის ამხ. ვიშინსკის კითხვებზე, ბრალდებული რიკოვი აჩვენებს, თუ რას წარმოადგენდა „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკი". „ბლოკის" შემადგენლობაში შედიოდნენ ტროცკისტები, მემარჯვენეები და ზინოვიეველები, ესერები, მენშევიკები, ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ჯგუფები ნაციონალურ რესპუბლიკებში.

შემდეგ ამხ. ვიშინსკი დეტალურად არკვევს საკითხს „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის" პორაჟენცული ხაზის შესახებ. რიკოვის სიტყვით, ბუხარინმა ეს ხაზი ჩამოაყალიბა ასე: ფრონტის გახსნა ინტერვენტებისათვის. ბუხარინი ცდილობს უარჰყოს ეს. მაგრამ ჯვარედინი დაკითხვის შედეგად იძულებულია გამოტყდეს პორაჟენცობაში.

ვიშინსკი: (ბუხარინს). თქვენ, ისე როგორც რიკოვი, იდექით პორაჟენცულ პოზიციაზე?

ბუხარინი: არა, მაგრამ მე პასუხს ვაგებ ამ საქმისათვის.

ვიშინსკი: რომ თქვენ პასუხს აგებთ, ეს სხვა საქმეა. მე მინდა გამოვარკვიო ფაქტი, გქონდათ თუ არა საუბარი რიკოვთან და ტომსკისთან ფრონტის გახსნის შესახებ?

ბუხარინი: მქონდა, არა რიკოვთან, არამედ ტომსკისთან.

ვიშინსკი: რის შესახებ?

ბუხარინი: მქონდა საუბარი ტომსკისთან, ის მელაპარაკა ფრონტის გახსნის იდეაზე.

ვიშინსკი: საუბარი გქონდათ ტომსკისთან ფრონტის გახსნის შესახებ? ვისთვის უნდა გაგეხსნათ ფრონტი?

ბუხარინი: სსრ კავშირის წინააღმდეგ...

ვიშინსკი: ვისთვის უნდა გაგეხსნათ ფრონტი?

ბუხარინი: გერმანიისათვის...

თავმჯდომარის ამხანაგ ულრიხის მიერ ბრალდებულ რიკოვისათვის მიცემული მთელი რიგი კითხვების შემდეგ, ცხადდება შესვენება 4 მარტის დილამდე.

3 მარტის დილის სხდომა

ბრალდებულ ივანოვის დაკითხვა*

ვიშინსკი: ბრალდებულო ივანოვო, გვიამბეთ, რა გარემოებებში და როდის შეხვედით თქვენ არალეგალურ კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში?

ივანოვი: პირველი ჩემი შეცოდება დაიწყო 1911 წელს, როცა მე ტულის გიმნაზიის მე-8 კლასის მოსწავლე ვიყავი. მეფის ოხრანკამ შესძლო ჩემი გადაბირება თავის აგენტად.

ვიშინსკი: სახელდობრ რა დაწესებულებასთან და რომელ ქალაქში იყავით თქვენ დაკავშირებული, როგორც ოხრანკი?

ივანოვი: ჟანდარმთა ოხრანკის სამმართველოსთან ქალაქ ტულაში.

ვიშინსკი: ტულაში ვისთან იყავით თქვენ პერსონალურად დაკავშირებული?

ივანოვი: როტმისტრ მამატკაზინთან.

ვიშინსკი: ღებულობდით თუ არა გასამრჯელოს თქვენი მუშაობისათვის?

ივანოვი: გასამრჯელოს ვღებულობდი მოსკოვშიც და ტულაშიც.

ვიშინსკი: შემდეგ თქვენ ჩამოდიხართ მოსკოვში, შედიხართ მოსკოვის უნივერსიტეტში 1912 წელს?

ივანოვი: დიახ.

ვიშინსკი: 1913 წელს თქვენ მოსკოვში აქტიურ მუშაობას ეწევით ოხრანკაში?

ივანოვი: დიახ.

ვიშინსკი: ვის უკავშირდებოდით თქვენ?

ივანოვი: როტმისტრ გრიაზნოვს და პოდპოლკოვნიკ კოლოკოლოვს.

ვიშინსკი: რაში გამოიხატებოდა თქვენი პროვოკატორული მუშაობა?

ივანოვი: მე ინფორმაციას ვაწვდიდი რევოლუციურ მოძრაობაზე სტუდენტთა ორგანიზაციებში, ინფორმაციას ვაწვდიდი ცალკეულ ამხანაგებზე, რომლებიც რევოლუციურ მუშაობას ეწეოდნენ.

ვიშინსკი: რამდენ ხანს იყავით მოსკოვის ოხრანკის აგენტი?

ივანოვი: 1913 წლიდან 1916 წლის დამლევამდე.

ვიშინსკი: რა გასამრჯელოს ღებულობდით?

ივანოვი: ტულის ოხრანკაში ჯერ ვღებულობდი 15 მანეთს შემდეგ — 20 მანეთს.

ვიშინსკი: მოსკოვის ოხრანკაში?

ივანოვი: ჯერ ვღებულობდი 30—40 მანეთს, შემდეგ 60—75 მანეთამდე ავედი. ჩემი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების მიხედვით ჩემი განაკვეთიც მატულობდა.

ვიშინსკი: როდის შეიპარეთ ბოლშევიკურ პარტიაში?

ივანოვი 1915 წელს.

ვიშინსკი: რა გარემოებებში? პირადი მისწრაფებით?

ივანოვი: პოდპოლკოვნიკ კოლოკოლოვისაგან მოცემული მქონდა მითითება, რომ ბოლშევიკურ პარტიაში შევსულიყავი.

ვიშინსკი: მაშასადამე, თქვენ მოსკოვის ოხრანკის პოდპოლკოვნიკის კოლოკოლოვის მითითებით შეხვედით პარტიაში?

ივანოვი: დიახ.

ვიშინსკი: რა მიზნით?

ივანოვი: ბოლშევიკური ორგანიზაციის საქმიანობის რაც შეიძლება უფრო ღრმად გაშუქების მიზნით.

ვიშინსკი: პროვოკატორული მიზნებით?

ივანოვი: დიახ, პროვოკატორული მიზნებით.

ვიშინსკი: ერთი გვითხარით, გქონდათ თუ არა კავშირი „მემარცხენე" კომუნისტების ჯგუფთან?

ივანოვი: დიახ.

ვიშინსკი: ვინ ჩაგაბათ ამ ჯგუფში?

ივანოვი: არსებითად, არავის ჩავუბივარ, რადგან თვით ჩემი შეცოდება და შიში, რომ საბჭოთა ხელისუფლების დროს შეიძლება მამხილონ, მტრების ბანაკისაკენ მიმიძღვებოდნენ და მიმერეკებოდნენ. და მე ყორანივით, რომელიც სუნით ლეშისაკენ მიფრინავს, შევდიოდი ყოველგვარ მტრულ ჯგუფებში, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იბრძვიან. რადგან მე იმედი მქონდა, რომ მაშინ, ბურჟუაზიის ხელისუფლების რესტავრაციისას, მე არ ვიქნებოდი მხილებული.

ვიშინსკი: როდის მიემხრეთ თქვენ „მემარცხენე" კომუნისტებს?

ივანოვი: 1917 წლის დამლევს, ან 1918 წლის დასაწყისს.

ვიშინსკი: მაშასადამე, თქვენ ამ ჯგუფს მიემხრეთ როგორც მტერი, რომელსაც იმედი ჰქონდა, რომ ამ ჯგუფთან ერთად თქვენ საბჭოთა ხელისუფლების დამხობას შესძლებდით?

ივანოვი: „მემარცხენე" კომუნისტებთან მე ვპოულობდი იმას, რაც მჭირდებოდა როგორც საბჭოთა ხელისუფლებისა და მუშათა კლასის მტერს.

ვიშინსკი: თქვენ მაშინ ბუხარინთან დაკავშირებული იყავით?

ივანოვი: ჩვენ რამდენიმე თათბირზე ვიყავით. შემდეგ ბუხარინმა ერთხელ დამისვა კითხვა იმის შესახებ, რომ პარტიის წინააღმდეგ და ლენინის ხაზის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად კომუნისტური პარტიიდან უნდა გავიდეთ და ჩვენი პარტია უნდა შევქმნათო. იმის იმედი გვქონდა, რომ ამას შეიძლებოდა მოჰყოლოდა კომუნისტური პარტიის დაშლა და „მემარცხენე" კომუნისტების გამარჯვება. მე მაშინ ვმუშაობდი პარტიულ ორგანიზატორად ბასმანის რაიონში. მე ვერ შევძელი მიმემხრო პარტიული მასა „მემარცხენე" კომუნისტების ხაზით. მასა მთლიანად ლენინს მიჰყვებოდა. ჩემთვის ნათელი იყო, რომ „მემარცხენე" კომუნისტების მთელ მუშაობას ჩაშლა, გაკოტრება მოელოდა.

შემდეგ მე შევხვდი ბუხარინს პარტიის X ყრილობაზე, სადაც ბუხარინთან მქონდა შემდეგი საუბარი. მან დასვა საკითხი იმის შესახებ, რომ მე ლენინთან მაქვს უთანხმოება ძირითად საკითხებშიო: მე ახლა ვიმზადებ ჩემს კადრებს, რომელნიც მზად იქნებიან ჩემი პირველივე დაძახებისთანავე გამოვიდნენ ლენინის წინააღმდეგო. ეს, ჩემის აზრით, იყო ბუხარინის „სკოლუკის" შექმნის საწინდარი.

ვიშინსკი: როგორ აპირებდა ბუხარინი ლენინის წინააღმდეგ გამოსვლას? რა ფორმებში ამზადებდა იგი გამოსვლას?

ივანოვი: იგი საკმაოდ გაბოროტებული იყო. იგი მხოლოდ შესაფერ მომენტს ელოდა. მას უნდოდა თავისი კადრები ჰყოლოდა.

ვიშინსკი: რისთვის?

ივანოვი: იმისთვის, რომ თავიდან მოეცილებინა ლენინი.

ვიშინსკი: როგორ მოეცილებინა?

ივანოვი: თვით ფიზიკური შეთოდებითაც კი.

ვიშინსკი: თქვენ კი ლაპარაკობთ „სკოლუკაზე". კარგი „სკოლუკაა"?

ივანოვი: იგი პარტიაში ცნობილია როგორც „მემარცხენე" კომუნისტთა „სკოლუკა".

ვიშინსკი: სინამდვილეში კი ეს არის არა „სკოლუკა", არამედ ბანდა, რომელიც შექმნა ბუხარინმა. განაგრძეთ თქვენი ჩვენება.

ივანოვი: საინტერესო იყო ბუხარინთან ლაპარაკი 1926 წელს. იგი პირდაპირ ამბობდა, რომ საჭიროა ვემზადოთ პარტიასთან აშკარად ბრძოლისათვის. 1928 წელს მე წავედი ჩრდილო კავკასიაში მეორე მდივნად. აქ ბუხარინი აყენებს საკითხს იმის შესახებ, რომ მე ჩრდილო კავკასიაში შევქმნა მემარჯვენეთა ჯგუფი. ამასთან, იგი ამბობს, რომ ჩრდილო კავკასიას ჩვენს ბრძოლაში პარტიასთან და საბჭოთა ხელისუფლებასთან ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. ჩვენ, ამბობს იგი, სათავეში უნდა ჩავუდგეთ გლეხთა, განსაკუთრებით კაზაკთა სათანადო მოძრაობას, მოძრაობას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. ჩვენი ამოცანაა ჩრდილო კავკასია გადავაქციოთ რუსულ ვანდეათაო.

ვიშინსკი: პრაქტიკულად, რა წინადადებას გაძლევდათ თქვენ ბუხარინი?

ივანოვი: პრაქტიკულად ბუხარინმა წინადადება მომცა შემექმნა მემარჯვენეთა ჯგუფი. მე იგი შევქმენი. მან წინადადება მომცა კავშირი გამება მტრულ ელემენტებთან. ჩვენ კავშირი გავაბით კულაკ კაზაკებთან და ყველაფერი მოვამზადეთ იმისათვის, რომ უზრუნველგვეყო კულაკური აჯანყება ჩრდილო კავკასიაში.

ვიშინსკი: აყენებდნენ თუ არა მაშინ ბუხარინი, რიკოვი საკითხს ძალაუფლების ხელში ჩაგდების შესახებ?

ივანოვი: ძალაუფლების ხელში ჩაგდების შესახებ 1931 წლამდე ისმებოდა საკითხი.

ვიშინსკი: და თქვენ ამასთან დაკავშირებით მოგეცათ კონკრეტული დავალება ჩრდილო კავკასიაში საჯანყებო რაზმების შექმნის შესახებ?

ივანოვი: დიახ, ჩრდილო კავკასიაში, ხოლო შემდეგ ჩრდილოეთის მხარეში საჯანყებო რაზმების შექმნის შესახებ.

ვიშინსკი: ჩრდილო კავკასიაში ყოფნის დროს რა დავალება მიიღეთ ბუხარინისაგან?

ივანოვი: ბუხარინმა მოგვცა დავალება — მემარჯვენე ორგანიზაციათა ძალებით შევსდგომოდით საბჭოთა ხელისუფლების დამარცხების მომზადებას ინტერვენციის დროს კაპიტალისტურ ფაშისტურ სახელმწიფოებთან ომის დროს.

ვიშინსკი: რა მითითებებს გაძლევდათ ბუხარინი ჯაშუშობის შესახებ?

ივანოვი: მან მითხრა, რომ ლობოვი სპეციალურად აწყობს ამ საქმეს და რომ მან ინფორმაცია უნდა მომაწოდოს იმის შესახებ, თუ როგორ ხორციელდება ეს საქმე. მან სთქვა: „რეზიდენტს, რომელიც იქ იქნება დაყენებული, თქვენ ყოველმხრივი დახმარება უნდა აღმოუჩინოთ თქვენი პარტიული ორგანიზაციით, რათა მომსახურება გაუწიოთ ინგლისის დაზვერვის მოთხოვნილებებს".

ვიშინსკი: თქვენ ასრულებდით ამ რჩევა-დარიგებას?

ივანოვი: ვასრულებდი, მომსახურებას ვუწევდი, ვგზავნიდი მასალას, ვღებულობდი მითითებებს ამ რეზიდენტის საშუალებით. ამასთან, ეს მითითებანი, რომლებსაც ინგლისის დაზვერვისაგან ვღებულობდი, სავსებით ეთანხმებოდა იმ დირექტივებს, რომლებსაც მემარჯვენეთა ცენტრი მიგზავნიდა.

ვიშინსკი: სავსებით ეთანხმებოდა? ასე, რომ თქვენ ზოგჯერ ვერც კი არჩევდით, სად მოქმედებს მემარჯვენეთა ცენტრი და სად უცხოეთის დაზვერვა?

ივანოვი: დიახ, აქ იყო სრული დამთხვევა.

ვიშინსკი: ახლა გადადით საკითხზე ტერორისტული საქმიანობისა და ტერორისტული გეგმების შესახებ.

ივანოვი: ჩვენი ორგანიზაციის წინაშე ჩრდილო კავკასიაში დასმული იყო ტერორისტული ჯგუფის შექმნის ამოცანა.

ვიშინსკი: ვის მიერ იყო დასმული ეს ამოცანა?

ივანოვი: ბუხარინის მიერ. ბუხარინი რამდენჯერმე დაუბრუნდა ამ საქმეს, კერძოდ კიროვის მოკვლის შემდეგ. იგი ამბობდა, რომ, როგორც კიროვის მოკვლიდან სჩანს, ცალკეული ტერორისტული აქტები არ იძლევა შედეგებს, რომ საჭიროა მასობრივი ტერორისტული აქტების მზადება, და მხოლოდ მაშინ მივიღებთ შედეგსო. მას აღებული ჰქონდა გეზი პარტიის ხელმძღვანელობის ლიკვიდირებაზე.

ვიშინსკი: რა შეგიძლიათ თქვენ აჩვენოთ კიდევ თქვენი მავნებლური საქმიანობის შესახებ?

ივანოვი: ჩვენ ვაგროვებდით საჯანყებო ჯგუფებს, უმთავრესად, არხანგელსკის გარშემო, რათა ინტერვენციის მომენტში გაგვეწყვიტა არხანგელსკის კავშირი ჩვენი ქვეყნის ცენტრალურ მაგისტრალებთან და ამით ინგლისელებისათვის გაგვეადვილებინა ამ სატყეო რაიონისა და უმნიშვნელოვანესი ნავსადგურის ხელში ჩაგდება. ჩემს მავნებლურ მუშაობაში მთავარ ყურადღებას ვაქცევდი ხე-ტყის დამზადების ტექნიკური ხელსაწყოების შეიარაღების ჩაშლას, კაპიტალური მშენებლობის, განსაკუთრებით კი ცელულოზას ქაღალდის მრეწველობის მშენებლობის ჩაშლას, იმ ანგარიშით, რომ ჩვენი ქვეყანა ქაღალდის საშიმშილო ულუფაზე დაგვესვა და ამით ლახვარი ჩაგვეცა კულტურული რევოლუციისათვის, ჩაგვეშალა ჩვენი ქვეყნის მომარაგება რვეულებით და გამოგვეწვია უკმაყოფილება ფართო მასებში.

უპასუხებს რა ამხ. ვიშინსკის კითხვას, ბრალდებული ივანოვი ლაპარაკობს თავის უკანასკნელ შეხვედრაზე ბუხარინთან 1937 წლის დამდეგს:

— არასოდეს მინახავს ბუხარინი ასოდენ გააფთრებული და გაბოროტებული, როგორიც იგი მაშინ იყო. იგი მომმართა: თქვენ ლაჩარი ხართ, პანიკიორი ხართ, თქვენ ყველანი მეუბნებით — მასებიო, მასებს თავზე ხელი კი არ უნდა მოუსვათ, არამედ უნდა იცოდეთ, რომ მემარჯვენეთა ორგანიზაცია მასების წინააღმდეგ იომებს, თქვენ კი გინდათ მათ თავზე ხელი მოუსვათო.

ვიშინსკი: მას უნდოდა მასების წინააღმდეგ ეომა?

ივანოვი: დიახ, და შემდეგ, მან კითხვა იმგვარად დააყენა, რომ თუ ჩვენ გვშორდებიან, უნდა გადავდგათ უფრო გაშლილი ნაბიჯები იმათ მოსასპობად, ვინც გაბედავს აშკარად მონანიებას საბჭოთა ხელისუფლების წინაშე და ვისაც ამით შეუძლია ამხილოს ჩვენი მემარჯვენე ორგანიზაცია.

ვიშინსკი: (ბუხარინს). 1928 წელს ივანოვი ჩრდილო კავკასიაში გაემგზავრა და თქვენ მას დაავალეთ შეექმნა მემარჯვენეთა არალეგალური ჯგუფები. მართალია?

ბუხარინი: მართალია.

ვიშინსკი: სწორედ არალეგალური?

ბუხარინი: არალეგალური.

ვიშინსკი: ამას თქვენ ადასტურებთ. თქვენ მას აგრეთვე დააკისრეთ შესრულებინა მთელი რიგი თქვენი დავალება ამ ჯგუფების შექმნასთან დაკავშირებით 1928 წლის პერიოდში. ლაპარაკი იყო არა მარტო გადაბირებაზე, არამედ საჯანყებო რაზმების შექმნაზეც?

ბუხარინი: ამ საქმის ტექნიკა არ მაინტერესებდა.

ვიშინსკი: მე არ ვლაპარაკობ საჯანყებო რაზმების შექმნის ტექნიკაზე, მე ვლაპარაკობ მემარჯვენეთა პლატფორმაზე, რომელშიაც გეზი აჯანყებისაკენ იყო აღებული, როცა თქვენ ივანოვს დაავალეთ შექმნა არალეგალური ორგანიზაცია, მაშინ გქონდათ თუ არა საუბარი საჯანყებო რაზმების შესახებ.

ბუხარინი: იმ დროს არ გვქონია და არც შეიძლებოდა გვქონოდა.

ვიშინსკი: მაშ რა უნდა ეკეთებინათ არალეგალურ ორგანიზაციებს?

ბუხარინი: არალეგალურ ორგანიზაციებს უნდა შეეკრიბათ ძალები პარტიის წინააღმდეგ საბრძოლველად

არკვევს რა იმას, თუ როგორ აძლევდა ბუხარინი ივანოვს ჯერ კიდევ 1928 წელში კონტრრევოლუციურ დავალებებს, ამხ. ვიშინსკი მთელ რიგ კითხვებს აძლევს ივანოვსა და ბუხარინს.

ვიშინსკი: ბრალდებულო ბუხარინო, გქონდათ თუ არა თქვენ საუბარი ივანოვთან, რომ მის წინაშე დგას მემარჯვენეთა ცენტრის მიერ დაყენებული ამოცანა, — საჯანყებო მოძრაობის მოწყობა?

ბუხარინი: მას შეეძლო ასე გაეგო.

ვიშინსკი: [illegible] თქვენც სწორედ ასე გაიგეთ?

ივანოვი: დირექტივა მე საკმაოდ ნათლად გადმომცეს, რომ მისი მარტივი აზრი გამეგო. ისმებოდა საკითხი იმის შესახებ, რომ კულაკობა გაბოროტებულია. ეს ის სოციალური ძალაა, რომელსაც ჩვენ გეზი უნდა ავიღოთ. ჩვენი ამოცანა იმაში მდგომარეობდა, რომ სათავეში ჩავდგომოდით აჯანყებას.

ვიშინსკი: ბუხარინო, თქვენ ამას ადასტურებთ?

ბუხარინი: ეს მართალია, მაგრამ არა ივანოვის მიმართ. ამაზე მე სხვა პირთან მქონდა საუბარი. მე შეიძლება ეს ივანოვისათვის მეთქვა, იმიტომ, რომ 1932 წელს ივანოვი ჩრდილო კავკასიაში არ ყოფილა.

ვიშინსკი: თქვენ როდის წახვედით ჩრდილო კავკასიიდან?

ივანოვი: ჩრდილო კავკასიიდან წამოვედი 1931 წლის 2 თუ 1 აპრილს.

ვიშინსკი: ჩრდილო კავკასიაში ყოფნისას როდის ელაპარაკეთ თქვენ ბუხარინს?

ივანოვი: 1928 წელს.

ვიშინსკი: 1932 წელს იყო ლაპარაკი აჯანყების შესახებ?

ივანოვი: დიახ, იყო ასეთი ლაპარაკი.

ვიშინსკი: ნება მიბოძეთ შევაჯამო. ივანოვისა და თქვენი (მიმართავს ბუხარინს) ჩვენებების მიხედვით შეიძლება ჩაითვალოს მტკიცედ დადასტურებულად ჯერ ერთი ის, რომ თქვენ ივანოვთან გქონდათ საუბარი აჯანყების ორგანიზაციის შესახებ. ხომ ასეა?

ბუხარინი: ასეა.

ვიშინსკი: რომ თქვენ გეზი მიეცით ივანოვს, რომ საბჭოთა ხელისუფლებასთან ბრძოლის სასარგებლოდ აუცილებელია კულაკური აჯანყების გამოყენება?

ბუხარინი: დიახ.

ვიშინსკი: ივანოვი აჩვენებს, რომ მას თქვენგან გადაეცა ბლოკის არსებობა ტროცკისტებს, მემარჯვენეებს დაჯგუფებებსა და ნაციონალისტურ ჯგუფებს შორის. თქვენ ამას ადასტურებთ?

ბუხარინი: ამას ვადასტურებ.

ვიშინსკი: იცოდით თუ არა თქვენ ივანოვისა და სხვების მოლაპარაკების შესახებ კაპიტალისტურ ქვეყნებთან?

ბუხარინი: დიახ, ეს ეხება გაცილებით უფრო გვიანდელ დროს. მე გავაცანი ივანოვს მემარჯვენე ცენტრის საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია, ვუთხარი მას იმის შესახებ, რომ საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეიძლება გამოყენებულ იქნეს სამხედრო კონიუნქტურა და მთელი რიგი სხვა რამეები.

ვიშინსკი: სხვანაირად რომ ვთქვათ, ორიენტაცია უცხოეთის ზოგიერთ სახელმწიფოების დახმარებაზე.

ბუხარინი: დიახ შეიძლება ასეც ითქვას.

ვიშინსკი: სხვანაირად რომ ვთქვათ, ორიენტაცია სსრ კავშირის დამარცხებაზე?

ბუხარინი: საერთოდ, შეჯამებულად, ვიმეორებ — დიახ.

ბრალდებულ ზუბარევის დაკითხვა*

ვიშინსკი: ბრალდებულო ზუბარევ, როდის დადექით თქვენ დანაშაულებრივი საქმიანობის გზაზე მემარჯვენეთა კონტრრევოლუციურ ორგანიზაციაში?

ზუბარევი: 1929 წელს, როდესაც მე მემარჯვენეთა ორგანიზაციაში ჩამაბა ალექსანდრე პეტრეს-ძე სმირნოვმა, რომელსაც ვიცნობდი 1919 წლიდან. ჩვენი შეხვედრისას 1928 წლის დამდეგს მე გამოვთქვამდი უკმაყოფილებას და უთანხმოებას პარტიის ხაზთან სოფლად წარმოებული პოლიტიკის მიმართ. მან მაშინ მაცნობა, რომ მემარჯვენეთა ორგანიზაცია არსებობს, და მე პირველად გავიგე 1929 წელს, რომ ის არის ამ ორგანიზაციის წევრი. პირველად მაშინ გავიგე აგრეთვე, რომ არსებობს ამ ორგანიზაციის საკავშირო ცენტრი.

ვიშინსკი: როდის დაიწყო კავშირი რიკოვთან?

ზუბარევი: კავშირი რიკოვთან დაიწყო 1930 წელს, როდესაც ის ჩამოვიდა სვერდლოვსკში პარტიულ კონფერენციაზე.

ვიშინსკი: რა პირობებში წარმოიშვა თქვენი ეს კავშირი რიკოვთან, როგორც მემარჯვენე შეთქმულობითი ცენტრის ხელმძღვანელთან?

ზუბარევი: მე მაშინ პარტიული ხაზით ვმუშაობდი. კონფერენციის დროს მე საკმაოდ ხანგრძლივი საუბარი მქონდა რიკოვთან. ამოცანები, რომლებიც წამოაყენა მაშინ ჩემთან საუბარში რიკოვმა შეიძლება სამ ძირითად მომენტად დავყოთ.

პირველი — ესაა მავნებლური მუშაობა სოფლად: თესვის კამპანიის ჩაშლა სათესლე მასალის არადროული გაცემითა და მიწოდებით, თესლის ხარისხის გაუარესება. ეს, ბუნებრივია, გააბოროტებდა მოსახლეობას.

მეორე მომენტი — ესაა მოსახლეობის გაღიზიანება სხვადასხვა სახის პროვოკაციული ზომებით: კვების ძირითადი პროდუქტების მომარაგების არასწორი ორგანიზება და განსაკუთრებით, საზოგადოებრივი კვების არასწორი ორგანიზება.

მესამე მომენტი — საბჭოთა ხელისუფლების მიმართ მტრულადგანწყობილ ყველა ელემენტის კონსოლიდაცია, ბლოკის შეკვრა ყოველ არსებულ კონტრრევოლუციურ ორგანიზაციებთან, კერძოდ ტროცკისტულ, ზინოვიეველთა და ესერულ ორგანიზაციებთან.

ვიშინსკი: ბრალდებულო რიკოვ, რა შეგიძლიათ სთქვათ ბრალდებული ზუბარევის ჩვენებათა ამ ნაწილის შესახებ?

რიკოვი: ვადასტურებ საუბრებს, რომლებშიც ვახასიათებდი იმ პერიოდის სოფლის განწყობილებებს. მე უნდა მიმეცა და ვაძლევდი ასეთ დავალებებს.

ვიშინსკი: აძლევდით თუ არა თქვენ დავალებებს ზუბარევს?

რიკოვი: დიახ.

ვიშინსკი: როდის?

რიკოვი: 1930 წლის მაისში.

ვიშინსკი: ბრალდებულო ზუბარევ, თქვით, კონკრეტულად რა იყო გაკეთებული თქვენ მიერ საბჭოთა მთავრობის საწინააღმდეგო ბოროტმოქმედებათა ჩასადენად.

ზუბარევი: მე ვაძლევდი მითითებებს პურის დამზადების ჩაშლის შესახებ, პურის ჩაბარებასთან დაკავშირებით მტრულ განწყობილებათა წაქეზების შესახებ, კოლექტივიზაციისათვის წინააღმდეგობის გაწევის შესახებ, იმ ღონისძიებებისათვის წინააღმდეგობის გაწევის შესახებ, რომელთაც პარტია და მთავრობა ატარებდნენ კოლმეურნეობათა განმტკიცების მიზნით.

ვიშინსკი: თქვენ აძლევდით მითითებას კულაკურ აჯანყებათა მოწყობის შესახებ?

ზუბარევი: ვაძლევდი. აჯანყებანი პირდაპირ დამოკიდებულებაში იყვნენ ამ ღონისძიებებთან.

ვიშინსკი: მავნებლობის რა ფაქტებს ჰქონდა ადგილი თქვენს საქმიანობაში?

ზუბარევი: მე ვაძლევდი მავნებლურ გეზს, რომელსაც ზიანი მოჰქონდა საბჭოთა სახელმწიფოსათვის სოფლის მეურნეობის დარგში ურალზე. რაც შეეხება ჩემს მუშაობას მოსკოვში, აქ, მოსკოვში ჩემი კონტრრევოლუციური მოღვაწეობა იწყება 1933 წლის შუა თვეებიდან.

ვიშინსკი: სთქვით რითი გამოიხატება თქვენი მავნებლური მოღვაწეობა?

ზუბარევი: როცა მე ვმუშაობდი კავშირის მიწსახკომის ხაზით მეთესლეობის დარგში, მავნებლობა იმით გამოიხატა, რაზედაც გუშინ ლაპარაკობდა ბრალდებული ჩერნოვი: მეთესლეობის არევდარევა, თესლის ხარისხის გაუარესება, ცუდი ხარისხის მასალის გამოყენება, მისი ცუდი გაწმენდა, უყურადღებო შენახვა, რის შედეგად ჩვენ ვიღებდით არა მარტო მოსავლიანობის შემცირებას, არამედ მტრულ განწყობილებას გლეხობის მხრივ, უკმაყოფილებას ამ ეგრედწოდებული ჯიშიანი თესლებით.

ვიშინსკი: ვის წინააღმდეგ აპირებდით თქვენი ბოროტმოქმედური ტერორისტული აქტების ჩადენას?

ზუბარევი: თავდაპირველად ჩვენ კონკრეტულად, პერსონალურად არავინ არ გვყავდა მხედველობაში. საერთოდ კი ვვარაუდობდით ტერორისტულ აქტებს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელი შემადგენლობის წინააღმდეგ, კერძოდ პოლიტბიუროს წევრების წინააღმდეგ. მისი მდგომარეობის გამო მისი გავლენის გამო და დიდი შესაძლებლობის გამო ტერორისტული აქტების მოწყობის მხრივ ჩვენ შევჩერდით მოლოტოვზე...

ვიშინსკი: მოლოტოვზე—სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეზე?

ზუბარევი: დიახ, მოლოტოვზე.

ვიშინსკი: და თქვენ გქონდათ კიდევ ასეთი სახის ბოროტი განზრახვები?

ზუბარევი: ჩვენ ამაზე შევჩერდით. სხვა შესაძლებლობებს ჩვენ ვერ ვხედავდით. თავდაპირველად ისმებოდა საკითხი სტალინის, კაგანოვიჩის, ვოროშილოვისა და მოლოტოვის შესახებ, მაგრამ ჩვენ შევჩერდით მოლოტოვზე იმ მოსაზრებათა გამო, რომელზედაც მე უკვე ვილაპარაკე.

ვიშინსკი: გვიამბეთ რა პირობებში გახდით თქვენ მეფის ოხრანკის აგენტი?

ზუბარევი: 1908 წელს მამაჩემთან სოფელში, სადაც იმხანად მეც ვიყავი, პოლიციის დიდმა ჯგუფმა მოახდინა ჩხრეკა. ჩხრეკის დროს აღმოაჩინეს ლიტერატურის მნიშვნელოვანი რაოდენობა.

ვიშინსკი: როგორი ლიტერატურისა?

ზუბარევი: არალეგალური ლიტერატურისა. ბოქაულმა ვასილიევმა, რომელიც ჩხრეკას ხელმძღვანელობდა, ჩემს წინაშე ასე დასვა საკითხი: „თუ თქვენ, ზუბარევ, გინდათ თავი დააღწიოთ რეპრესიებს, მაშინ თქვენ გაქვთ მხოლოდ ერთადერთი შესაძლებლობა—მიიღოთ ჩემი წინადადება: გახდეთ პოლიციის აგენტი".

შემდეგ ზუბარევი იძლევა ჩვენებას, თუ როგორ მუშაობდა იგი როგორც მეფის პოლიციის აგენტი სტერლიტამაკში, შემდეგ კი უფაში, იმის შესახებ, თუ როგორ აბეზღებდა რევოლუციონერებს.

ვიშინსკი: მაშასადამე, ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში თქვენ დაკავშირებული იყავით პოლიციასთან იმ დრომდე, სანამ არ მოხდა რევოლუცია?

ზუბარევი: დიახ.

ვიშინსკი: თქვენ იღებდით ჯილდოს ამ თქვენი მუშაობისათვის?

ზუბარევი: ორჯერ ბოქაულ ვასილიევისაგან, თითო ჯერზე 30 მანეთს.

ვიშინსკი: თითო ჯერზე 30 ვერცხლს?

ზუბარევი: დიახ.

ვიშინსკი: ორჯერ მეტს, ვიდრე იუდა?

ზუბარევი: დიახ.

თავმჯდომარე ულრიხი: გვიამბეთ მოკლედ თქვენი ჯაშუშური მოღვაწეობის შესახებ.

ზუბარევი: ჩემი ჯაშუშური მოღვაწეობა დაიწყო 1935 წლის დამლევიდან. ამ ორგანიზაციაში ჩაბმული ვიყავი ივანოვის მიერ სადაზვერვო ცნობების მისაცემად. სადაზვერვო ხასიათის ცნობები, რომლებიც ეხებოდა მონაცემებს სოფლის მეურნეობის ხაზით, მე მივეცი ორჯერ—1936 წლის იანვარში და დეკემბერში. მე დაწვრილებით გაშუქებული მქონდა სოფლის მდგომარეობა, პურის მარაგი, სათესლე და სასურსათო ფონდები, განსაკუთრებით საფურაჟე ფონდები, ელაპარაკობდი საქონლის მდგომარეობაზე.

ივანოვისაგან მე შევიტყე, რომ იმ ცნობებს მიზნად ჰქონდათ ფაშისტური გერმანიის სასარგებლოდ.

ვიშინსკი: მე გთხოვთ ამ გარემოების შესამოწმებლად გამოძახებულ იქნეს მოწმედ პოლიციის ყოფილი ბოქაული ვასილიევი, რომელმაც თავის დროზე ჯაშუშად მიიღო ზუბარევი.

თავმჯდომარე ულრიხი: სასამართლომ გადაწყვიტა დაკმაყოფილებულ იქნეს ბრალმდებლის შუამდგომლობა და გამოიძახოს ვასილიევი, როგორც მოწმე, სასამართლოს სხდომაზე.

მოწმე დ. ნ. ვასილიევის დაკითხვა

თავმჯდომარე ულრიხი: თქვენი გვარი ვასილიევია?

ვასილიევი: ვასილიევი.

თავმჯდომარე ულრიხი: თქვენი სახელი, მამის სახელი?

ვასილიევი: დიმიტრი ნიკოლოზის-ძე.

თავმჯდომარე ულრიხი: როდის დაიბადეთ?

ვასილიევი: 1870 წელს.

თავმჯდომარე ულრიხი: 1907-სა, 1908-სა, 1909-სა, 1910 წლებში რომელ ქალაქებში ცხოვრობდით თქვენ?

ვასილიევი: ქალაქ კოტელნიჩში.

თავმჯდომარე ულრიხი: რა თანამდებობა გეკავათ?

ვასილიევი: მე ვიყავი მე-4 უბნის საუბნო ბოქაული.

თავმჯდომარე ულრიხი: თქვენი მუშაობის დროს, როგორც ბოქაულს გიხდებოდათ თუ არა თქვენ ვინმეს პროვოკატორად გადაბირება.

ვასილიევი: მიხდებოდა.

თავმჯდომარე ულრიხი: კერძოდ ხომ არ გადაგიბირებიათ თქვენ ზუბარევი?

ვასილიევი: ზუბარევი დიახ. სწორედ ეგაა.

თავმჯდომარე ულრიხი: გვიამბეთ მოკლედ სიტყვით, როგორ გადაიბირეთ იგი.

ვასილიევი: პოლიციის ურიადნიკი სმირნოვისაგან ცნობა მივიღე, რომ მის სახლში, სადაც თავის მამასთან სოფელში ცხოვრობდა ზუბარევი პროკოფი ტიმოთეს-ძე, ახალგაზრდობა იკრიბება, მღერიან რევოლუციურ სიმღერებს, რე-

(დასასრული იხ. მე-4 გვ.)

---

*) შემოკლებული სტენოგრამა.

*) შემოკლებული სტენოგრამა.

ანტისაბჭოთა „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ პროცესი

მოწმე დ. ნ. ვასილიევის დაკითხვა

(დასასრული)

ვოლუციურ წიგნებს კითხულობენო. მე, რასაკვირველია, ჩემი სამსახურის მოვალეობის გამო, მივედი მაშინ სოფელში ურიადნიკ კონევთან ერთად, მოვახდინე ჩხრეკა, ამოვაჩინე და ჩამოვართვი ნამდვილად მრავალი რევოლუციური გამოცემა. რასაკვირველია, მომიხდა ზუბარევის დაპატიმრება... ჩემ კანცელარიაში ზუბარევმა სთქვა, რომ სოფელში მათთან კიდევ არიან რევოლუციურად განწყობილი ადამიანები. მან დამისახელა ორი ადამიანი, მაგრამ გვარები არ სთქვა, და დამპირდა, რომ ის გამოავლინებს ამ ორ ადამიანს. მე მოვახსენე ისპრავნიკს. ისპრავნიკმა გასცა განკარგულება, ჯაშუშად გადმოიბირე და ხელწერილი ჩამოართვიო.

თავმჯდომარე ულრიხი: რა ხასიათის ხელწერილი?

ვასილიევი: იმის შესახებ, რომ ის ვალდებულია მიაწოდოს პოლიციას ცნობები. ამ ხელწერილის ჩამორთმევის დროს მან სთქვა, რომ მისი მეტსახელი იქნება „ვასილი“.

ვიშინსკი: რა ხნის განმავლობაში იყავით თქვენ დაკავშირებული ზუბარევთან?

ვასილიევი: 1908 წლიდან 1909 წლამდე.

ვიშინსკი: ადასტურებთ თქვენ, ბრალდებულო ზუბარევ, რომ მოწმე დიმიტრი ნიკოლოზის-ძე ვასილიევი მოგაგონებთ თქვენ იმ ბოქაულს ვასილიევს, რომელმაც თქვენ პირველად ჩაგაბათ პოლიციის სამსახურში?

ზუბარევი: დიაღ, ვადასტურებ.

ვიშინსკი: მე მეტი კითხვა არა მაქვს.

4 მარტის დილის სხდომის დღიური

„მემარჯვენე - ტროცკისტული ბლოკის“ პროცესი დღითი-დღე უფრო-დაუფრო აშკარავებს ხალხის გამძაფრებული მტრების საზარელ ბოროტმოქმედებებს. „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ შავი სია ვერაგობისა, სიმდაბლისა და საძაგლობისა შეავსეს სსრ კავშირის უმაღლეს სასამართლოს სამხედრო კოლეგიის 4 მარტის დილის სხდომაზე „ბლოკში“ შემავალმა ბრალდებულებმა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ჯგუფებიდან.

ჩვენებას თავისი მოღალატური მუშაობის შესახებ იძლევა პოლონეთის ოხრანკის გაქნილი ჯაშუში შარანგოვიჩი. ჯერ კიდევ 1921 წელს იგი გადაიბირა პოლონეთის დაზვერვამ ვარშავაში და გადმოისროლა სსრ კავშირში. დაიკავა რა საპასუხისმგებლო საბჭოთა და პარტიული თანამდებობანი საბჭოთა ბელორუსიაში, იგი აწვდიდა პოლონეთის დაზვერვას სხვადასხვა საიდუმლო მასალებს და ასრულებდა მის დავალებებს. 1932 წლის დამდეგს შარანგოვიჩი შევიდა ბელორუსიის ნაციონალ - ფაშისტურ ორგანიზაციაში, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ ჩერვიაკოვი და გოლოდედი. მალე, როგორც ბრალდებული აღიარებს, იგი თვითონ გახდა ამ ორგანიზაციის ერთერთი ხელმძღვანელი. როგორც ამას ბრალდებული ადასტურებს, ბელორუსიის ნაციონალ-ფაშისტური ორგანიზაცია დაკავშირებული იყო და მუშაობდა პოლონეთის დაზვერვის დავალებით, მეორე მხრივ, ის დაკავშირებული იყო „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ მოსკოვის ცენტრთან და იღებდა დირექტივებს უშუალოდ რიკოვისა და ბუხარინისაგან. შარანგოვიჩი აღიარებს, რომ ნაციონალ-ფაშისტები თავის ამოცანად ისახავდნენ საბჭოთა ხელისუფლების დამხობას და კაპიტალიზმის აღდგენას, სსრ კავშირის დამარცხებას ფაშისტურ სახელმწიფოებთან ომში და ბელორუსიის ჩამოცილებას საბჭოთა კავშირისაგან. შარანგოვიჩი ადასტურებს, რომ ბუხარინი და რიკოვი განსაკუთრებული დაჟინებით მოითხოვდნენ კავშირის გაძლიერებას პოლონეთის გენერალურ შტაბთან.

ნაციონალ-ფაშისტები ახორციელებდნენ მავნებლობას ბელორუსიის სახალხო მეურნეობისა და კულტურის სხვადასხვა დარგში, ჯაშუშობდნენ, აწარმოებდნენ დივერსიებს.

— რა მიზნებით? — მიმართავს ბრალდებულ შარანგოვიჩს ბრალმდებელი ამხ. ვიშინსკი.

შარანგოვიჩი: რასაკვირველია, პორაჟენცული მიზნებით, მოსახლეობაში უკმაყოფილების შექმნის მიზნებით, იმ მიზნებით...

ვიშინსკი: პროვოკაციული მიზნებით?

შარანგოვიჩი: რასაკვირველია.

უპასუხებდა რა შემდეგ ბრალმდებლის შეკითხვებს, ბრალდებული შარანგოვიჩი აღიარებდა, რომ იგი ატარებდა დიდს ნგრევითს მუშაობას ბელორუსიის სოფლის მეურნეობის დარგში. ესწრაფვოდნენ რა მოსახლეობაში უკმაყოფილების გამოწვევას, მავნებლები ცდილობდნენ შეეფერხებინათ საკოლმეურნეო მოძრაობა, ძირს უთხრიდნენ მეცხოველეობას. ასე, მაგალითად, ისინი ავრცელებდნენ ღორის ხოკს, ღუპავდნენ ცხენთა სულადობას. დივერსიების შედეგებად, აღიარებს ბრალდებული, 1936 წელს 30 ათასამდე ცხენი დაიღუპა.

შარანგოვიჩი შემდეგ აჩვენებს, რომ ნაციონალ-ფაშისტები მრეწველობის დარგშიც აწარმოებდნენ მავნებლობას, კერძოდ ანგრევდნენ რესპუბლიკის სათბობი მასალის ბაზას. დიდ მავნებლობას ახორციელებდნენ კულტურულ ფრონტზე.

ვიშინსკი: ამრიგად შეიძლება ვთქვათ, რომ სოციალისტური მშენებლობის არცერთი დარგი არ დარჩა თქვენ თვალთა ხედვის გარეშე, თქვენი მავნებლური მოღვაწეობის გარეშე?

შარანგოვიჩი: სავსებით სწორია.

ბრალდებულის შემდგომი დაკითხვიდან ირკვევა, რომ ნაციონალფაშისტები ამზადებდნენ ტერორისტულ აქტებს ამხ. ვოროშილოვისა და საკ. კ. პ. (ბ) და საბჭოთა მთავრობის სხვა ხელმძღვანელთა წინააღმდეგ.

შემდეგ სასამართლომ დაჰკითხა ბრალდებულს ფაიზულა ხოჯაევს, უზბეკისტანის ერთ-ერთ ფრიად გამოჩენილ ბურჟუაზიულ ნაციონალისტს, რომელიც მრავალი წლის განმავლობაში აწარმოებდა იქ ანტისაბჭოთა მუშაობას. ხოჯაევი აღიარებს, რომ ეს საზიზღარი საქმიანობა მან ჯერ კიდევ 1920 წელს დაიწყო, როცა ბუხარის სახალხო რესპუბლიკის სათავეში იდგა. შემდეგში ხოჯაევი დაუკავშირდა იკრამოვის ბურჟუაზიულ - ნაციონალისტურ ჯგუფს, ხოლო შემდეგ „მემარჯვენე - ტროცკისტულ ბლოკს“. 1930 წელს მოსკოვში ფაიზულა ხოჯაევი შეუთანხმდა რიკოვს საერთო მოღალატური საქმიანობის შესახებ. ხოჯაევი უჩვენებს სასამართლოს, რომ რიკოვმა წინადადება მისცა მას გაეჩაღებინა მავნებლობა განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის დარგში და მოითხოვდა ანტისაბჭოთა საქმიანობის განვითარებას ყველა მიმართულებით. ასეთივე დირექტივები გადასცა იკრამოვის მეშვეობით ბუხარინმა, რომელიც უზბეკისტანში ჩავიდა 1933 წელს. შემდგომ წელს უზბეკისტანში ჩავიდა ანტიპოვი და მემარჯვენეთა ცენტრის სახელით წინადადება მისცა გაეძლიერებინათ დივერსიული და პროვოკაციული საქმიანობა, გამოეწვიათ მასების უკმაყოფილება საბჭოთა ხელისუფლებით, მოეწყოთ საჯანყებო ჯგუფები, შეექმნათ ტერორისტული ჯგუფები, კავშირი გაებათ ინგლისის მზვერავ ორგანოებთან.

1936 წელს ტაშკენტში კვლავ ჩავიდა ბუხარინი. იგი უკმაყოფილო დარჩა მავნებლური დივერსიული მუშაობის „სუსტი განვითარებით“ და მოითხოვდა ბურჟუაზიული ნაციონალისტების ანტისაბჭოთა საქმიანობის გაძლიერებას. ბუხარინი ამბობდა, რომ „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკი“ დაკავშირებულია გერმანიასთან და იაპონიასთან და რომ საჭიროა ბურჟუაზიულმა ნაციონალისტებმა უზბეკისტანში უშუალოდ გააბან კავშირი ინგლისთანო. ჩვენ ეს გვესმოდა, აჩვენებს ხოჯაევი, როგორც კურსის აღება სსრ კავშირისაგან უზბეკისტანის ჩამოცილებაზე, უზბეკისტანის მიმართ ინგლისის პროტექტორატის განხორციელებაზე, რაც უზბეკისტანის კოლონიად გადაქცევას ნიშნავს.

ამხ. ვიშინსკის კითხვაზე იმის შესახებ, თუ რითი ასაბუთებდა ბუხარინი ამ თავის დანაშაულებრივ დირექტივასო, ბრალდებული ხოჯაევი აჩვენებს, რომ ბუხარინი ხოტბას ასხამდა ფაშიზმს, იგი მიუთითებდა, რომ ჰიტლერის გერმანიას სურს გახდეს ევროპის ჰეგემონი, რომ შესაძლებელია გერმანიისა და იაპონიის შეთანხმება სსრ კავშირთან საერთო ბრძოლისათვის. მემარჯვენეთა, ტროცკისტთა და ნაციონალ-ფაშისტთა ამოცანა, აცხადებდა ბუხარინი, იმაში მდგომარეობს, რომ მივაღწიოთ სსრ კავშირის დამარცხებას ძირგამომთხრელი მუშაობის გაძლიერების გზით.

შემდეგ ბრალდებული ხოჯაევი ჩამოსთვლის უზბეკისტანის ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ორგანიზაციის მავნებლური და დივერსიული საქმიანობის კონკრეტულ ფაქტებს. სოფლის მეურნეობაში მან არია თესლბრუნვა, არია თესლის საქმე, მიაღწია დიდძალი პირუტყვის დაღუპვასა და განიავებას, მავნებლურად აფერხებდა მეაბრეშუმეობის განვითარებას, მტაცებლურად სჩეხდა თუთის ხეს, რითაც სპობდა მეაბრეშუმეობის საკვებ ბაზას. ირიგაციის დარგში მომზადებულ იქნა დივერსიული აქტები სამარყანდსა და ფერგანში.

საბჭოთა ხელისუფლებასთან საბრძოლველად საჯანყებო ჯგუფების შექმნის დროს ბურჟუაზიულნაციონალისტური ორგანიზაცია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ბასმაჩობის აღორძინებას. ბასმაჩთა ატამანების (ყურბაშების) მეშვეობით ხოჯაევი ცდილობდა განეხორციელებინა კავშირი ინგლისის დაზვერვასთან. ამასთან ერთად იკრამოვისა და ხოჯაევის ხელმძღვანელობით ეწყობოდა ტერორისტული ჯგუფები.

ბრალდებული ხოჯაევი დამნაშავედ სცნობს თავს სამშობლოს ღალატში, უზბეკისტანის ხალხისა და მთელი სსრ კავშირის ხალხთა ღალატში, დივერსიულ-მავნებლურ და ტერორისტულ საქმიანობაში, რაც მიმართული იყო საბჭოთა ხელისუფლების დამხობისა და კაპიტალიზმის რესტავრაციისაკენ.

ამხ. ვიშინსკი ეკითხება, რა იცის ბრალდებულმა ხოჯაევმა აბიდ-საიდოვის მკვლელობის შესახებ. ბრალდებული ხოჯაევი უპასუხებს, რომ ეს მკვლელობა მოხდა იკრამოვის ნაციონალისტური ორგანიზაციის დადგენილებით.

ამხ. ვიშინსკი მიმართავს ბრალდებულ იკრამოვს.

ვიშინსკი: რისთვის იქნა მოკლული აბიდ-საიდოვი?

იკრამოვი: იმისათვის, რომ იგი ამხილებდა ბურჟუაზიულ ნაციონალისტებს.

ვიშინსკი: იყო თუ არა აბიდ-საიდოვის მკვლელთა შორის ბათუ?

იკრამოვი: იგი მკვლელობის მონაწილეა.

ვიშინსკი: მაშასადამე, აბიდ-საიდოვი მოჰკლა ბათუმ — თქვენმა კაცმა?

იკრამოვი: დიაღ.

ამით დამთავრდა დილის სხდომა.

საზღვარგარეთული პრესის გამოძახილი ანტისაბჭოთა „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ პროცესზე

ესპანეთი

ესპანეთი, 3 მარტი (საკდესი). კომპარტიის ორგანო „ფრენტე როხო“ მოწინავე წერილში, რომელიც ანტისაბჭოთა „მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის“ პროცესისადმია მიძღვნილი, ხაზგასმით აღნიშნავს საბჭოთა ხალხის ღრმა აღშფოთებას შესაზარი შეთქმულების ორგანიზატორთა დანაშაულებრივი გეგმების გამო, რომელიც მიზნად ისახავდა საბჭოთა კავშირში კაპიტალიზმის რესტავრაციას. გაზეთი აღნიშნავს ამხანაგი სტალინის მიერ არაერთგზის მოცემულ გაფრთხილებას იმის შესახებ, რომ დანაშაულებრივი ქარაფშუტობა და უდარდელობა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ფაშისტური სახელმწიფოები არ გამოიყენებენ ყოველგვარ მეთოდებს საბჭოთა კავშირზე თავდასხმის მოსამზადებლად.

სსრ კავშირის წინააღმდეგ თავისი კამპანიის გაძლიერებასა და საბჭოთა ქვეყანაზე შეიარაღებული თავდასხმის მომზადებასთან ერთად ეს ფაშისტური სახელმწიფოები შპიონაჟსა და ტერორს აწყობენ და მავნებელთა ჯგუფებს ჰქმნიან სსრ კავშირში. შემდეგ გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ფაშიზმი ყველა ქვეყნებში იყენებს თავისი სამსახურისათვის პროლეტარიატის მოღალატეებს. მათ სათავეში უდგას ჰიტლერის მოკავშირე და მსახური, გესტაპოს (გერმანიის საიდუმლო პოლიცია) აგენტი და მთელი მსოფლიოს ხალხთა მასების დაუძინებელი მტერი ტროცკი.

„ესპანეთის მეომრები და მშრომელები,—სწერს „ფრენტე როხო“, — გულგრილად არ შეხვდებიან ხალხის მტრების, ჯაშუშებისა და მავნებლების პროცესს. ესპანელი ხალხი დაძაბული ყურადღებით ადევნებს თვალყურს პროცესს და საბჭოთა მშრომელებთან ერთად თავის ულრმეს აღშფოთებასა და სიძულვილს გამოსთქვამს საბჭოთა ხალხის გამცემლების მიმართ“.

„სსრ კავშირის მტრების დანაშაულებრივი მოქმედებანი, — განაგრძობს გაზეთი,—ჩვენ ღრმად გვაშფოთებენ იმიტომ, რომ ისინი მიმართული არიან სოციალიზმის ქვეყნის — მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის დიადი მონაპოვრის წინააღმდეგ, იმიტომ, რომ ისინი წარმოადგენენ დარტყმას იმ დიადი ქვეყნისათვის, რომელიც ფაშიზმის წინააღმდეგ ჩვენი ბრძოლის პირველი მომენტიდან ძმურ სოლიდარობას იჩენდა ჩვენდამი, და აგრეთვე იმიტომ, რომ ჩვენ, დემოკრატიული ესპანეთის დამცველები, ვიცნობთ ტროცკისტების მუშაობის მეთოდებს. ბუხარინები, რიკოვები, იაგოდები, კრესტინსკები და ს. შ. — ეს მათი მოკავშირენი და თანამოაზრენი არიან, ვინც ესპანეთში სახალხო ფრონტის წინააღმდეგ იბრძვის, ვინც ჯაშუშურ აპარატს ჰქმნიდა ფრანკოს სასარგებლოდ, ვინც არმიის დემორალიზაციისათვის მუშაობდა და ყოველი ძალღონით ამზადებდა ჩვენი ქვეყნის პროლეტარიატისა და ხალხის მასების დამარცხებას“.

ნორვეგია

სტოკჰოლმი, 3 მარტი (საკდესი). ნორვეგიული გაზეთი „არბეიდერენ“ სწერს, რომ თვითეული დანაშაულისა და ცალკე დანაშაულისათვისაც კი, რომელშიაც ბრალი ედებათ ბუხარინულ-ტროცკისტული ჯგუფის შეთქმულებს, ისინი ღირსნი არიან უმაღლესი სასჯელისა. მუშათა კლასს და საბჭოთა კავშირის ყველა პატიოსან მეგობარს ესმით, რომ ამ გამცემლების — ფაშისტური აგრესორების აგენტთა აღმოფხვრა — ხელსაყრელია მშვიდობიანობისა და სოციალიზმისათვის.

საომარი მოქმედება ჩინეთში

ჩრდილოეთ ჩინეთში.

ხანკოუ, 3 მარტი (საკდესი). შანსის პროვინციაში ძლიერი ბრძოლები სწარმოებს ჩინეთის ჯარების მიერ 2 მარტს დატოვებული ლინფინის აღმოსავლეთით და დასავლეთით. სუიუანის პროვინციაში თავმოყრილია იაპონია - მანჯურიის ჯარების ხუთი დივიზია. გენერალ მა ჩან-შანის ცნობით, იაპონიის ჯარები ცდილობენ ხელში ჩაიგდონ დუნშენი (გუისუას სამხრეთ-დასავლეთით). ჩინეთის ჯარები გადამჭრელ წინააღმდეგობას უწევენ იაპონელებს. ათასი იაპონელისაგან შემდგარ კოლონას, სალაციდან რომ გამოილაშქრა, შეხვდნენ ჩინეთის ჯარები, რომლებიც გარს შემოერტყნენ მას. ბრძოლის შედეგად ჩინეთის ჯარებმა ტყვედ წამოიყვანეს 30 იაპონელი.



ლონდონი, 3 მარტი (საკდესი). მდინარე ხუანხეს სამხრეთ ნაპირზე ჩინელებმა თავი მოუყარეს ჯარების მნიშვნელოვან რაოდენობას და შექმნეს სიმაგრენი. ხენანის პროვინციის აღმოსავლეთ ნაწილში ჩინეთის ჯარებმა იაპონელებს წაართვეს ქალაქი ხუასიანი.

ცენტრალურ ჩინეთში.

ხანკოუ, 3 მარტი (საკდესი). ტიანძინ-პუკოუს რკინიგზის სამხრეთ უბანზე ოპერაციებში დროებითი სიწყნარე ჩამოვარდა. მდინარე ხუანხეს ჩრდილოეთ ნაპირზე იაპონელებმა უკანდახევის წინ დასწვეს ყველა სოფელი და გზების გასწვრივ დიდძალი ნაღმები ჩააწყეს.

2 მარტს ჩინეთის თვითმფრინავებმა ყუმბარები დაუშინეს აეროდრომს ხანჯოუში (ჩენძიანის პროვინცია). ბომბარდირების დროს დაიმსხვრა იაპონელთა ორი თვითმფრინავი და დაინგრა სარემონტო სახელოსნოები, სადაც რამდენიმე თვითმფრინავი იმყოფებოდა.

შანხაი, 2 მარტი (საკდესი). გრძელდება ბრძოლა უხუს რაიონში. პირველ მარტს იაპონელ ჯარისკაცთა სამი რაზმი ცდილობდა იერიში მიეტანა შივეიჯენზე (უხუს სამხრეთით), იაპონელთა იერიში მოგერიებულ იქნა.

სამხრეთ ჩინეთში.

შანხაი, 2 მარტი (საკდესი). სამხრეთ ჩინეთზე თავდასხმის მომზადების მიზნით იაპონელებმა ჩინეთის სამხრეთ სანაპიროსთან ხელში ჩაიგდეს კუნძულები გაოლანი, სანჯოუ, ტაიანი და სხვები. აღნიშნულ კუნძულებზე იაპონელებმა გადმოსხეს ჯარის ნაწილები და აგებენ აეროდრომებს.

ესპანეთის ფრონტებზე

(საკდესის ცნობებით)

ცენტრალური ფრონტი

ესპანის სააგენტო იუწყება მადრიდიდან, რომ 2 მარტს 23 საათზე მეამბოხეებმა საარტილერიო სროლა აუტეხეს ქალაქს. რესპუბლიკელთა ბატარიების ენერგიულმა პასუხმა აიძულა მეამბოხენი შუაღამისთვის შეეწყვიტნათ სროლა.

ფრონტზე ტოლედოდან სამხრეთისაკენ კასა დე ლა ლეგუაში რესპუბლიკელთა არტილერიამ გაანადგურა მეამბოხეთა რამდენიმე საბარგო ავტომობილი.

გუშინდელი დღის განმავლობაში მთელ მადრიდის ფრონტზე, განსაკუთრებით კარაბანჩელის სექტორში, სწარმოებდა თოფისა და ტყვიამფრქვევის სროლა.

გვადალახარის პროვინციის ჩრდილოეთ ნაწილში რესპუბლიკელთა თვითმფრინავებმა აღმოაჩინეს მეამბოხეთა რამდენიმე ჯგუფი. ზუსტი სროლით რესპუბლიკელთა არტილერიამ გაჰფანტა ეს ჯგუფები.

დანარჩენ ფრონტებზე არავითარი მნიშვნელოვანი რამ არ ყოფილა აღნიშნული.

პროვოკაციული თავხედობა სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის წინააღმდეგ პოლონეთში

ვარშავა, 3 მარტი (საკდესი). 1-ლ მარტს დაახლოებით 20 საათზე სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობის შენობაში პოლონეთში საფასადო მხრიდან პირველ სართულში ქვებით ჩაამტვრიეს ფანჯრის მინები. როგორც „გაზეტა პოლსკა“ იუწყება, მინები ჩაამტვრია „რამდენიმე კაცისაგან შემდგარმა ჯგუფმა. პოლიციამ დააკავა მარშალოვსკის ქუჩის მიმართულებით გაქცეული ცოლ-ქმარნი შიმანსკები და მარიანა პუტერმანი. ამ საქმის გამოძიებას, როგორც გაზეთი იუწყება, — აწარმოებს საგამომძიებლო სამმართველოს ბრიგადა“.

ცნობა ამის შესახებ მოთავსებულია პოლონეთის მთელ პრესაში.

სსრ კავშირის საქმეთა რწმუნებულის პროტესტი ვარშავაში

ვარშავა, 3 მარტი (საკდესი). ხულიგანთა ჯგუფის მხრივ ანტისაბჭოთა თავხედური გამოსვლის გამო, რომლებმაც ვარშავაში სსრ კავშირის სრულუფლებიან წარმომადგენლობაში ფანჯრები ჩაამტვრიეს, სსრ კავშირის საქმეთა რწმუნებულმა პოლონეთში პროტესტი განუცხადა საგარეო საქმეთა სამინისტროს და მოითხოვა გამოძიება, დამნაშავეთა უმკაცრესი დასჯა და სსრ კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლობისათვის გამოძიების შედეგების შეტყობინება.

ცოცხალი მატიანეები

მზიანი აფხაზეთის მთა-ადგილებში ძალიან ხშირად შეხვდებით ისეთ ღრმა მოხუცებს, რომლებიც მიუხედავად არაჩვეულებრივი წლოვანებისა ახლაც ყოჩაღად, ჯანსაღად გრძნობენ თავს. ოჩამჩირის რაიონის სოფელ გვადაში ცხოვრობს 145 წლის მოხუცი ეკუბ შოუა (დაიბადა 1793 წელს). ამგვარად ეკუბ შოუამ იცოცხლა მე-18 საუკუნის უკანასკნელ წლებში, მთელი მე-19 საუკუნე და მე-20 საუკუნის ერთ მესამედზე მეტი. აფხაზეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის თანამშრომლებთან საუბარში ეკუბმა იმედი გამოსთქვა, რომ ამ საამური და ბედნიერი ცხოვრების ეპოქაში ის კიდევ დიდხანს იცოცხლებს.

სოფელ გალში ცხოვრობს 137 წლის მოხუცი ტლაბგან ქეცბა, რომლის გადმოცემით გალში პირველი სახლი მას აუშენებია. ქალაქ სოხუმის მცხოვრებს 130 წლის გახუ თურქიას კარგად ახსოვს მაჰაჯირობის ხანის საშინელებანი.

ამას გარდა სოფ. ტამუშში (ოჩამჩირის რაიონი) ცხოვრობს შხანგერ ბჟანია, რომელსაც წელს შეუსრულდა 136 წელი. იმავე რაიონის სოფ. ჯგერდეში ცხოვრობს ახალგაზრდობისას თურქეთიდან გადმოსახლებული ოსმან ფეიზ-ოღლი, რომელსაც წელს 135 წელი შეუსრულდა, ასევე საუკუნეზე მეტია, რაც ცხოვრობენ გუდაუთის რაიონის კოლმეურნე შაჩუკბარი, სოფ. მერხეულის (სოხუმის რაიონი) მცხოვრები სელმა ფილია, სოფ. ეშერას მცხოვრები ბადრაკ ავიძბა, ჯგერდეს მცხოვრები ხაბილოს აშუბა და სხვ.

აფხაზეთის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის აღრიცხვით ასეთ „ცოცხალ მატიანეთა“ რაოდენობა მთელს აფხაზეთში 60 კაცს აღემატება. უკრაინის მეცნიერებათა აკადემიამ დაიწყო ამ მოხუცების სიცოცხლის იშვიათი ხანგრძლივობის მიზეზების შესწავლა.

145 წლის მოხუცი ეკუბ შოუა

„ღამურები“

საქართველოს სსრ სახკომსაბჭოსთან არსებულ ხელოვნების საქმეთა სამმართველოს რეპერტუარისა და სანახაობათა კონტროლის განყოფილებამ ამ დღეებში დაამტკიცა და შეიტანა სარეპერტუარო ბიულეტენში დრამატურგ თამარ ღვინიაშვილის პიესა „ღამურები“, რომელიც დაწერილია აქტუალურ თემაზე: — მავნებლობა, დაზვერვა და კონტრდაზვერვა.

პიესა ვითარდება რეალისტურ ტონებში, ყველა სცენები მაღალი მხატვრული გემოვნებით და ღრმა დამაჯერებლობით არის შესრულებული. მოქმედებათა მთელი ჯაჭვი და მომქმედ პირთა ტიპაჟი ოსტატურად შერჩევის საფუძველზე „ღამურებ“-ში ნათლად არის ნაჩვენები ის ბნელი გზები და გველური მეთოდები, რომლებსაც მიმართავენ თავის საზიზღარ მუშაობაში გაცოფებულ ფაშიზმის სისხლიანი აგენტები — ტროცკისტ - ბუხარინული ქვეწარმავალნი, დივერსანტები და ჯაშუშები.

ამავე დროს პიესაში მკაფიოდ და მკვეთრად არის მოცემული სახელოვანი შინსახკომის ორგანოების გმირული ბრძოლა მტრების გამოაშკარავებისა და სრული განადგურებისათვის. (საქდესი)

პარტკალენდარი

ლ. კეცხოველის სახელობის პროპაგანდისტისა და აგიტატორის სახლში

5 მარტს:

აგიტაციის კაბინეტი — კონსულტაცია თემაზე: „მარქსიზმ-ლენინიზმი რელიგიასთან ბრძოლის შესახებ“. კონსულტანტები: ქართულ ენაზე—ამხ. სახაროვი, რუსულზე—ამხ. მალცევი. დასაწყისი საღამოს 7 საათზე.

* * *

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-თან არსებული პარტკონტროლის კომისიის პარტკოლეგია საქართველოში წინადადებას აძლევს ელიზბარ მათეს-ძე ბაკურაძეს (ამბროლაურის რაიონი) გამოცხადდეს პარტკოლეგიაში (ძერჟინსკის, 8) ამხ. დათიაშვილთან სამი დღის ვადაში.

* * *

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში 5 მარტს, საღამოს 7 საათზე, შესდგება პროპსემინარის მორიგი მეცადინეობა. პროპაგანდისტების დასწრება სავალდებულოა.

* * *

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომის პარტკაბინეტი იუწყება, რომ 5 მარტს, საღამოს 7 საათზე, რაიონის აგიტატორებისათვის შესდგება ჯგუფური კონსულტაცია ქართულ და რუსულ ენებზე. თემა: „8 მარტი ქალთა საერთაშორისო კომუნისტური დღეა“.

* * *

საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომი იუწყება, რომ 5 მარტს, საღამოს 7 საათზე მე-109 სკოლის შენობაში (სარეწაო კოოპერაციის ქუჩა) შესდგება პროპსემინარი რაიონის პროპაგანდისტებისათვის თემაზე: „დებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“.

პ.-მგ. რედაქტორის მოადგილე
ვ. ხატიაშვილი.

საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სახკომისარიატის კურსების გრანიტის წარმოების ბალანსი 1937 წლის 1-ლი იანვრისათვის (ათას მანეთებში)

აქტივი			პასივი		
№№ რიგ.	ანგარიშების დასახელება	თანხა	№№ რიგ.	ანგარიშების დასახელება	თანხა
1	ძირითადი საშუალებანი საწარმოო მნიშვნელობისა	428	1	საწესდებო ფონდი	797
2	ძირითადი საშუალებანი არასაწარმოო მნიშვნელ.	158	2	სპეცფონდები	3
3	მარაგი მასალების, ნედლეულისა და სათბობისა	43	3	რეზერვები	23
4	საქონელი, მზანაწარმი	135	4	ანგარიშსწორებანი	85
5	ფულადი საშუალებანი	2			
6	ანგარიშსწორებანი	23			
7	მომავალი პერიოდის ხარჯები	12			
8	საანგარიშგებო წლის დანაკარგები	107			
	ბალანსი...	908		ბალანსი...	908

დანაკარგებისა და დაგროვების ანგარიში

1.	ზარალი საქონლისა და მზანაწარმის რეალიზაციით	89	1	სხვადასხვა დაგროვებანი	20
2.	სხვა დანაკარგები	38		დანაკარგების სალდო	107
	ბალანსი...	127		ბალანსი..	127

დირექტორი შანყულაშვილი. მთ. ბუღალტერი ყიფიანი.

ბალანსი და დანაკარგ-დაგროვების ანგარიში დამტკიცებულია საქ. ადგილ. მრეწველობის სახკომის მიერ და ნებადართულია გამოსაქვეყნებლად.

1691 საქართვ. ადგილ. მრეწვ. სახკომ. საბუღალტრო ჯგუფის ხელმძღვანელი ჯანელიძე.

თბილისის ზ. პ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი
5/III მუდმ. ადგ. ტალონი № 123 ერთდრ. ბილეთის სერია № 2 კარმენ
6/III ერთდრ. ტალ. № 2 დილით ლაისი დასაწყ. დღის 12 საათზე.
6/III მუდმ. ადგ. ტალ. № 124 საღამოს ბალეტი ესმერალდა უკანასკნელად
დასაწყისი საღ. 8 საათზე
მუდმივი ადგილების გადასახადი მთლიანად უნდა იყოს დაფარული მარტში

მარჯანიშვილის სახელობის თეატრი
5/III წარმ. № 115 მური
6/III დღის წარმოდგენა სამანიშვილის დედინაცვალი დასაწყ. დღის 12 საათზე.
6/III წარმ. № 116 საღამოს ფიგაროს ქორწინება
დასაწყისი 8 საათზე.
სალარო ღიაა დილ. 12-დან საღ. 9 საათ.

სახცირკი. ტელ. 3-11-44
დღეს, 5 მარტს
საცირკო წარმოდგენა
განახლებული პროგრამით.
სატირიკოს იგორ იუჟინის
უკანასკნელისწინა გამოსვლა, აგრეთვე
ცირკის მთელი დასი.
დასაწყისი 8 ს. 30 წ.
6 მარტს, წარმოდგენა დღისით.
დასაწყ. დღის 2 ს.

რუსთაველის სახ. ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრი 1938 წ. სეზონი
5/III წარმ. № 115 ნაპერწკლიდან
6/III დღის წარმოდგენა ალკაზარ დასაწყისი დღის 12 საათზე
6/III წარმ. № 116 ალკაზარ
სალარო ღიაა 12 საათიდან 9 საათამდე. დასაწყ. 8 საათზე.

ესტრადის თეატრი
პლეხანოვის პროსპ., 123. ტელ. 3-02-29
5 და 6 მარტს, ტალონები № 62, 63
სომხეთის სსრ სიმღერების, ცეკვისა და მუსიკის საღამოები
შოღიკ მკრტიჩიანისა და ვაჰარშაკ სააკიანის
მონაწილეობით
ხალხური საკრავების ანსამბლი გ. მირზოიანის ხელმძღვანელობით
ხალხური ცეკვების ანსამბლი ედ. მანუკიანის ხელმძღვანელობით.
პროგრამაში: ლენინაკანური, ლორიული და შახტახტური ცეკვები.
6 მარტს კონცერტი ბავშვებისათვის. ბავშვთა აბონემენტი ძალაშია.
ტალონი № 5.
ბილეთები იყიდება. დასაწყისი საღ. 9 ს. 17707

შუშეულნაწარმის მომხმარებელთა საყურადღებოდ
მთავარი სააფთიაქო სამმართველოს მედიკამენტების რესპუბლიკური ბაზა
ყველა აფთიაქებს, ორგანიზაციებს და სამკურნალო დაწესებულებებს, არეთვე სარეცეპტურო შუშისა და ავადმყოფთა მოსავლელი შუშეულნაწარმის მომხმარებლებს განუსაზღვრელი რაოდენობით აწვდის ხსენებულ ნაწარმს შემდეგი ასორტიმენტით:
სარეცეპტურო შუშები 15,0-გრამიანი
" " .... 30.0- "
" " .... 100,0- "
" " .... 200,0- "
ესმარხის შუშის ტოლჩები ხელსაწყოთი — 3 ოდნობისა — 1 — ლიტრიანი, 1½ — ლიტრიანი და 2-ლიტრიანი.
შუშის კოტოშები.
ზემოაღნიშნული საქონელი გაიცემა ნაწილობრივ საქ. სსრ მთავარი სააფთიაქო სამმართველოს საბითუმო ბაზიდან — კამოს ქ. № 76, ხოლო ნაწილობრივ ქუთაისის შუშის ქარხნიდან — ვაგონობით.
მთავარი სააფთიაქო სამმართველოს მედიკამენტების
1038 რესპუბლიკური ბაზის დირექტორი ნ. თავაძე.

ა. ლ. ქლენტი
შინაგანი სნეულებანი. სპეციალურად კუჭნაწლავების სნეულებათა გამოკვლევა-მკურნალობა. მიღება ყოველდღე 7—8 ს. ოთხშაბათობით უფასოდ.
მისამართი: წყნეთის ქ. № 8. 17278

მ. ბ. შახნაზაროვი
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფთა მიღება.
კანის და ვენერიული ავადმყოფობანი.
მიღება საღ. 5-დან 9 საათამდე. კრასნოგორის ქ. № 33. მიღება სადარბაზო შესავლელიდან. 17660

მისამართი, რედაქციის — თბილისი, რუსთაველის პროსპ. № 16, გამომცემლობის — რუსთაველის პროსპექტი № 34; ტელეფონები: სამდივნოსი: 3—06—88, განყოფილებებისა: პარტიულის—3—57—61, სასოფლო-სამეურნეოს — 3—73—40. მშრომელთა წერილების — 3—73—24, პ.-მგ. მორიგის—3—26—67, გამომცემლობის—3—51—81; სტამბის დირექტორის — 3—27—04. ხელნაწერები ავტორებს არ უბრუნდებათ.

საქ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის გამომცემლობის ამხ. ს. თოდრიას სახ. სტამბა „კომუნისტი“, თბილისი, კამოს ქ. № 68. მთავლიტის რწმუნებული 268.